პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

პარასკევი
27
ნოემბერი
1936 წ.
№ 274 (4778)

ბრძოლისა და გაჭირვების განვლილი გზის შედეგად სასიამოვნო და სასიხარულოა გვქონდეს ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს გამარჯვებათა ნაყოფზე ლაპარაკობს. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი ადამიანები და როგორ მიაღწიეს მათ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას.

ი. სტალინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობა**

# ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება
# სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ

**(ამხანაგ სტალინის გამოჩენას ტრიბუნაზე მთელი დარბაზი ხანგრძლივი მქუხარე ოვაციით ხვდება. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. ყოველი მხრიდან გაისმის ძახილი: „ვაშა ამხანაგ სტალინს!" „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!" „გაუმარჯოს დიდ სტალინს!" „დიდ გენიოსს ამხანაგ სტალინს ვაშა!". „ვივატ!" „როტ ფრონტ!" „ამხანაგ სტალინს დიდება!").**

## I
## საკონსტიტუციო კომისიის შექმნა და მისი ამოცანები

ამხანაგებო!

საკონსტიტუციო კომისია, რომლის პროექტი განსახილველად წარედგინა ამ ყრილობას, როგორც ვიცით, შექმნილი იყო სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობის სპეციალური დადგენილებით. ეს დადგენილება მიღებულ იქნა 1935 წლის 6 თებერვალს. იქ ნათქვამია:

„1. შეტანილ იქნას სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებანი შემდეგი მიმართულებით:

ა) ზოხდის საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაცია იმ მხრივ, რომ არა სავსებით თანასწორი არჩევნები შეიცვალოს თანასწორით, მრავალსაფეხურიანი — პირდაპირით, აშკარა—ფარულით.

ბ) დაზუსტდეს კონსტიტუციის სოციალურ-ეკონომიური საფუძველი იმ მხრივ, რომ კონსტიტუცია შეესაბამოს კლასობრივ ძალთა აწინდელ თანაფარდობას სსრ კავშირში (ახალი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნა, კულაკობის განადგურება, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება, სოციალისტური საკუთრების, როგორც საბჭოთა საზოგადოების საფუძვლის, დამკვიდრება და ა. შ.).

2. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აირჩიოს საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც დაევალოს კონსტიტუციის შესწორებული ტექსტის შემუშავება პირველ მუხლში აღნიშნულ საფუძვლებზე და მისი წარდგენა სსრ კავშირის ცაკის სესიაზე დასამტკიცებლად.

3. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების უახლოესი მორიგი არჩევნები სსრ კავშირში ჩატარდეს ახალი საარჩევნო სისტემის საფუძველზე".

ეს იყო 1935 წლის ექვს თებერვალს. ამ დადგენილების მიღებიდან ერთი დღის შემდეგ, ე. ი. 1935 წლის შვიდ თებერვალს, შეიკრიბა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესია და სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობის დადგენილების შესასრულებლად შექმნა საკონსტიტუციო კომისია 31 კაცის რაოდენობით. მან საკონსტიტუციო კომისიას დაავალა სსრ კავშირის შესწორებული კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.

ასეთია ფორმალური საფუძვლები და სსრ კავშირის უზენაესი ორგანოს დირექტივები, რომელთა ბაზაზე უნდა გაეშალა თავისი მუშაობა საკონსტიტუციო კომისიას.

ამრიგად საკონსტიტუციო კომისიას უნდა შეეტანა ცვლილებანი ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულია 1924 წელს, და ამასთან გაეთვალისწინებინა ის ძვრანი სსრ კავშირის ცხოვრებაში სოციალიზმის მიმართულებით, რომელნიც განხორციელდნენ 1924 წლიდან დღევანდლამდე განვლილ პერიოდში.

## II
## ცვლილებანი სსრ კავშირის ცხოვრებაში 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში

როგორია ის ცვლილებანი სსრ კავშირის ცხოვრებაში, რომელნიც განხორციელდნენ 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში და რომელნიც უნდა აესახა საკონსტიტუციო კომისიას თავის კონსტიტუციის პროექტში?

რაშია ამ ცვლილებათა არსება?

რა გვქონდა ჩვენ 1924 წელს?

ეს იყო ნეპის პირველი პერიოდი, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ დაუშვა კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცოცხლება სოციალიზმის ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად, როცა ის ითვალისწინებდა, რომ მეურნეობის ორი სისტემის, კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების, შეჯიბრების მსვლელობაში შექმნა სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის მიმართ. ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ამ შეჯიბრების მსვლელობაში გაგვემტკიცებინა სოციალიზმის პოზიციები, მიგვეღწია კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის და დაგვემთავრებინა სოციალისტური სისტემის, როგორც სახალხო მეურნეობის ძირითადი სისტემის, გამარჯვება.

ჩვენი მრეწველობა მაშინ წარმოადგენდა არასახარბიელო სურათს, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობა. მართალია, ხდებოდა მისი თანდათანობითი აღდგენა, მაგრამ მას ჯერ კიდევ სრულიადაც ვერ მიეღწია თავისი პროდუქციის ომამდელ დონემდე. იგი ემყარებოდა ძველ ჩამორჩენილ და არამდიდარ ტექნიკას. რა თქმა უნდა, იგი ვითარდებოდა სოციალიზმის მიმართულებით. ჩვენი მრეწველობის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა მაშინ შეადგენდა დაახლოვებით 80 პროცენტს. მაგრამ კაპიტალიზმის სექტორს მაინც ჰქონდა მრეწველობის არანაკლებ 20 პროცენტისა.

ჩვენი სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო არასახარბიელო სურათს წარმოადგენდა. მართალია, მემამულეთა კლასი უკვე ლიკვიდირებული იყო, მაგრამ სამაგიეროდ სასოფლო-სამეურნეო კაპიტალისტების კლასი, კულაკების კლასი, ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა.

მთლიანად სოფლის მეურნეობა მაშინ მოგვაგონებდა წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა თვალუწვდენ ოკეანეს თავიანთი ჩამორჩენილი შუასაუკუნოებრივი ტექნიკით. ამ ოკეანეში ცალკეული წერტილებისა და პატარა კუნძულების სახით არსებობდნენ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, რომელთაც, კაცმა რომ სთქვას, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ცოტად თუ ბევრად სერიოზული მნიშვნელობა ჩვენს სახალხო მეურნეობაში. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი სუსტნი იყვნენ, ხოლო კულაკი ჯერ კიდევ ძალაში იყო. ჩვენ მაშინ ვლაპარაკობდით კულაკობის არა ლიკვიდაციაზე, არამედ მის შეზღუდვაზე.

იგივე უნდა ითქვას საქონელბრუნვაზე ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტური სექტორი საქონელბრუნვაში შეადგენდა რაღაც 50-60 პროცენტს, — არა მეტს, ხოლო მთელი დანარჩენი არე ეკავათ ვაჭრებს, სპეკულანტებს და სხვა კერძოებს.

ასეთი იყო ჩვენი ეკონომიკის სურათი 1924 წელს.

რა გვაქვს ჩვენ ახლა, 1936 წელს?

თუ ჩვენ მაშინ გვქონდა ნეპის პირველი პერიოდი, ნეპის დასაწყისი, კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცოცხლების პერიოდი, ახლა ჩვენ გვაქვს ნეპის უკანასკნელი პერიოდი, ნეპის დასასრული, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში კაპიტალიზმის სრული ლიკვიდაციის პერიოდი.

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ამ პერიოდში ჩვენი მრეწველობა გიგანტურ ძალად გაიზარდა. ახლა უკვე არ შეიძლება ვუწოდოთ მას სუსტი და ტექნიკურად ცუდად შეჭურვილი. პირიქით, ახლა იგი ემყარება ახალ, მდიდარ თანამედროვე ტექნიკას ძლიერ განვითარებული მძიმე ინდუსტრიით და კიდევ უფრო მეტად განვითარებული მანქანათმშენებლობით. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ კაპიტალიზმი სრულიად განდევნილია ჩვენი მრეწველობის სფეროდან, ხოლო წარმოების სოციალისტური ფორმა ახლა წარმოადგენს განუყოფლად გაბატონებულ სისტემას ჩვენი მრეწველობის დარგში. წვრილმანად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ჩვენი ახლანდელი სოციალისტური ინდუსტრია პროდუქციის მოცულობის თვალსაზრისით შვიდჯერ და კიდევ უფრო მეტად სჭარბობს ომამდელი დროის ინდუსტრიას.

სოფლის მეურნეობის დარგში ნაცვლად წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ოკეანისა, მათი სუსტი ტექნიკით და კულაკის ძალაუფლებით, ახლა ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მანქანიზებული, ახალი ტექნიკით შეიარაღებული წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოვლისმომცველი სისტემის სახით. ყველასათვის ცნობილია, რომ კულაკობა სოფლის მეურნეობაში ლიკვიდირებულია, ხოლო წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა სექტორს თავისი ჩამორჩენილი შუასაუკუნოებრივი ტექნიკით ახლა უმნიშვნელო ადგილი უჭირავს; ამასთან მისი ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში სათესი ფართობების ოდენობის მხრივ შეადგენს არაუმეტეს 2-3 პროცენტისა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ახლა კოლმეურნეობებს თავიანთ განკარგულებაში აქვთ 316 ათასი ტრაქტორი 5.700 ათასი ცხენისძალის სიმძლავრით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებთან ერთად აქვთ 400 ათასზე მეტი ტრაქტორი 7.580 ათასი ცხენისძალის სიმძლავრით.

რაც შეეხება საქონელბრუნვას ჩვენს ქვეყანაში, ვაჭრები და სპეკულანტები სრულიად განდევნილი არიან ამ დარგიდან. ახლა მთელი საქონელბრუნვა სახელმწიფოს, კოოპერაციისა და კოლმეურნეობების ხელში იმყოფება. წარმოიშვა და განვითარდა ახალი, საბჭოთა ვაჭრობა, ვაჭრობა უსპეკულანტებოდ, ვაჭრობა უკაპიტალისტებოდ.

ამგვარად, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სოციალისტური სისტემის სრული გამარჯვება ახლა ფაქტს წარმოადგენს.

ხოლო ეს რას ნიშნავს?

ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია მოსპობილია, ლიკვიდირებულია, ხოლო საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება დამკვიდრებულია, როგორც ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი **(ხანგრძლივი ტაში).**

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დარგში ყველა ამ ცვლილების შედეგად ჩვენ ახლა გვაქვს ახალი, სოციალისტური ეკონომიკა, რომელმაც არ იცის კრიზისები და უმუშევრობა, არ იცის სიღატაკე და გაჩანაგება და რომელიც აძლევს მოქალაქეებს ყოველგვარ საშუალებას შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის.

ასეთია ძირითადად ის ცვლილებანი, რომლებიც მოხდა ჩვენი ეკონომიკის დარგში 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში.

სსრ კავშირის ეკონომიკის დარგში მომხდარ ამ ცვლილებათა შესაბამისად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურაც.

მემამულეთა კლასი, როგორც ცნობილია, უკვე ლიკვიდირებული იყო სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად. რაც შეეხება სხვა ექსპლოატატორულ კლასებს, მათ მემამულეთა კლასის ბედი გაიზიარეს. აღარ არის კაპიტალისტთა კლასი მრეწველობის დარგში. აღარ არის კულაკების კლასი სოფლის მეურნეობის დარგში. აღარ არიან ვაჭრები და სპეკულანტები საქონელბრუნვის დარგში. ამგვარად, ყველა ექსპლოატატორული კლასი ლიკვიდირებული აღმოჩნდა.

დარჩა მუშათა კლასი.

დარჩა გლეხთა კლასი.

დარჩა ინტელიგენცია.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამ სოციალურ ჯგუფებს ამ ხნის განმავლობაში არავითარი ცვლილება არ განეცადოთ, თითქოს ისინი დარჩენილიყვნენ ისეთებადვე, როგორიც იყვნენ, ვთქვათ, კაპიტალიზმის პერიოდში.

ავიღოთ, მაგალითად, სსრ კავშირის მუშათა კლასი. მას ძველი ჩვეულების მიხედვით ხშირად პროლეტარიატს უწოდებენ. მაგრამ რა არის პროლეტარიატი? პროლეტარიატი არის კლასი, მოკლებული საწარმოო იარაღებსა და საშუალებებს მეურნეობის ისეთი სისტემის დროს, როდესაც საწარმოო იარაღები და საშუალებანი კაპიტალისტებს ეკუთვნით და როდესაც კაპიტალისტთა კლასი ეწევა პროლეტარიატის ექსპლოატაციას. პროლეტარიატი — ეს არის კაპიტალისტების მიერ ექსპლოატირებული კლასი. მაგრამ ჩვენში კაპიტალისტთა კლასი, როგორც ცნობილია, უკვე ლიკვიდირებულია, საწარმოო იარაღები და საშუალებანი ჩამოერთვა კაპიტალისტებს და გადაეცა სახელმწიფოს, რომლის ხელმძღვანელ ძალას მუშათა კლასი წარმოადგენს. მაშასადამე, აღარ არის კაპიტალისტთა კლასი, რომელსაც შეეძლოს ექსპლოატაცია გაუწიოს მუშათა კლასს. მაშასადამე, ჩვენი მუშათა კლასი არა თუ მოკლებული არ არის საწარმოო იარაღებსა და საშუალებებს, არამედ, პირიქით, იგი მათ ჰფლობს მთელ ხალხთან ერთად. რაკი იგი მათ ჰფლობს, ხოლო კაპიტალისტთა კლასი ლიკვიდირებულია, — გამორიცხულია მუშათა კლასის ექსპლოატაციის ყოველგვარი შესაძლებლობა. შეიძლება თუ არა ამის შემდეგ ჩვენს მუშათა კლასს პროლეტარიატი ეწოდოს? ცხადია, არ შეიძლება. მარქსი ამბობდა: იმისათვის, რომ პროლეტარიატმა თავი გაიინთავისუფლოს, მან უნდა გაანადგუროს კაპიტალისტთა კლასი, ჩამოართვას კაპიტალისტებს საწარმოო იარაღები და საშუალებანი და მოსპოს წარმოების ის პირობები, რომლებიც პროლეტარიატს წარმოშობენ. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასმა უკვე განახორციელა თავისი განთავისუფლების ეს პირობები? უსათუოდ შეიძლება და უნდა ითქვას. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატი გადაიქცა სრულიად ახალ კლასად, სსრ კავშირის მუშათა კლასად, რომელმაც მოსპო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა, დაამკვიდრა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება და საბჭოთა საზოგადოებას კომუნიზმის გზით წარმართავს.

როგორც ხედავთ, სსრ კავშირის მუშათა კლასი — ეს სრულიად ახალი, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული, მუშათა კლასია, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია.

გადავიდეთ გლეხობის საკითხზე. ჩვეულებრივ ამბობენ, რომ გლეხობა — ეს წვრილ მწარმოებელთა ისეთი კლასია, რომლის წევრნი ატომიზებული, მთელ ქვეყანაში გაბნეული არიან, ცალ-ცალკე ცოდვილობენ თავიანთ წვრილ მეურნეობებში თავიანთი ჩამორჩენილი ტექნიკით, წარმოადგენენ კერძო საკუთრების მონებს და მათ დაუსჯელად უწევენ ექსპლოატაციას მემამულენი, კულაკები, ვაჭრები, სპეკულანტები, მევახშენი და მათი მსგავსნი. და მართლაც, გლეხობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, თუ მხედველობაში მის ძირითად მასას მივიღებთ, სწორედ ასეთ კლასს წარმოადგენს. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენი თანამედროვე გლეხობა, საბჭოთა გლეხობა, თავისი მასით ამგვარ გლეხობას წააგავს? არა, ამის თქმა არ შეიძლება. ასეთი გლეხობა ჩვენში უკვე აღარ არის. ჩვენი საბჭოთა გლეხობა სრულიად ახალ გლეხობას წარმოადგენს. ჩვენში აღარ არიან მემამულეები და კულაკები, ვაჭრები და მევახშეები, რომელთაც შეეძლოთ გლეხთა ექსპლოატირება. მაშასადამე, ჩვენი გლეხობა არის ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული გლეხობა. შემდეგ, ჩვენი საბჭოთა გლეხობა თავისი უდიდესი უმრავლესობით არის კოლმეურნე გლეხობა, ე. ი. იგი თავის მუშაობასა და თავის დოვლათს ამყარებს არა ერთპიროვნულ შრომასა და ჩამორჩენილ ტექნიკაზე, არამედ კოლექტიურ შრომასა და თანამედროვე ტექნიკაზე. ბოლოს, ჩვენი გლეხობის მეურნეობის საფუძვლად უდევს არა კერძო საკუთრება, არამედ კოლექტიური საკუთრება, რომელიც კოლექტიური შრომის ბაზაზე გაიზარდა.

როგორც ხედავთ, საბჭოთა გლეხობა — ეს სრულიად ახალი გლეხობაა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია.

დასასრულ, გადავიდეთ ინტელიგენციის საკითხზე, საკითხზე ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა, კულტურული ფრონტის მუშაკთა, საერთოდ მოსამსახურეთა და სხვ. მან აგრეთვე დიდი ცვლილებანი განიცადა განვლილ პერიოდში. ეს უკვე ის ძველი დახავსებული ინტელიგენცია კი არ არის, რომელიც ცდილობდა თავისი თავი კლასებს ზევით დაეყენებინა, ნამდვილად კი თავისი მასით ემსახურებოდა მემამულეებსა და კაპიტალისტებს. ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია—ეს სრულიად ახალი ინტელიგენციაა, რომელიც მთელი ფესვებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან და გლეხობასთან. ჯერ-ერთი, შეიცვალა ინტელიგენციის შემადგენლობა. თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წრიდან გამოსულები შეადგენენ ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის მცირე პროცენტს. საბჭოთა ინტელიგენციის 80-90 პროცენტი — ეს მუშათა კლასის, გლეხობის და მშრომელთა სხვა ფენებიდან არის გამოსული. ბოლოს, შეიცვალა თვით ინტელიგენციის საქმიანობის ხასიათიც. წინათ მას უნდა ემსახურნა მდიდარი კლასებისათვის, ვინაიდან მას სხვა გამოსავალი არა ჰქონდა. ახლა იგი უნდა ემსახუროს ხალხს, ვინაიდან უკვე აღარ არიან ექსპლოატატორული კლასები. და სწორედ ამიტომ იგი ახლა წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრს, სადაც იგი მუშებთან და გლეხებთან ერთად, მათთან ხელიხელ ჩაკიდებული, ეწევა ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენებას.

როგორც ხედავთ, ეს სავსებით ახალი, მშრომელი ინტელიგენციაა, რომლის მსგავსს დედამიწის ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იპოვით.

ასეთია ის ცვლილებანი, რომლებიც განვლილი დროის მანძილზე მოხდა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის დარგში.

რას გვიჩვენებენ ეს ცვლილებანი?

ისინი გვიჩვენებენ, ჯერ-ერთი, იმას, რომ საზღვარი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, აგრეთვე როგორც ამ კლასებსა და ინტელიგენციას შორის—იშლება, ხოლო ძველი კლასობრივი განკერძოებულობა ჰქრება. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო-და-უფრო მცირდება მანძილი ამ სოციალურ ჯგუფებს შორის.

მეორე, ისინი გვიჩვენებენ, იმას, რომ ეცემა, იშლება ეკონომიური წინააღმდეგობანი ამ სოციალურ ჯგუფებს შორის.

დასასრულ, ისინი გვიჩვენებენ იმას, რომ ეცემა და იშლება აგრეთვე პოლიტიკური წინააღმდეგობანი მათ შორის.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის კლასობრივი სტრუქტურის დარგში ცვლილებათა მხრივ.

სსრ კავშირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცვლილებათა სურათი არ იქნებოდა სრული, რამდენიმე სიტყვა რომ არ გვეთქვა ცვლილებებზე კიდევ ერთ დარგში. მე მხედველობაში მაქვს სსრ კავშირში ნაციონალურ ურთიერთდამოკიდებულებათა სფერო. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში შედის დაახლოვებით სამოცი ნაცია, ნაციონალური ჯგუფი და ეროვნება. საბჭოთა სახელმწიფო მრავალეროვანი სახელმწიფოა. გასაგებია, რომ სსრ კავშირის ხალხებს შორის ურთიერთ დამოკიდებულებათა საკითხს არ შეიძლება არ ჰქონდეს ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, როგორც ცნობილია, შეიქმნა 1922 წელს სსრ კავშირის საბჭოების პირველ ყრილობაზე. იგი შეიქმნა სსრ კავშირის ხალხთა თანასწორობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე. ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია, მიღებული 1924 წელს, არის სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია. ეს იყო პერიოდი, როცა ხალხებს შორის ურთიერთობანი ჯერ კიდევ არ იყო წესიერად მოგვარებული, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი ველიკორუსებისადმი უნდობლობის ნაშთები, როცა ცენტრიდანული ძალები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ მოქმედებას. საჭირო იყო ამ პირობებში მოგვეგვარებინა ხალხთა ძმური თანამშრომლობა ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთდახმარების ბაზაზე, მათი ერთ საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ გაერთიანებით. საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო არ დაენახა ამ საქმის სიძნელენი. მის თვალწინ იყო ბურჟუაზიულ ქვეყნებში მრავალეროვან სახელმწიფოთა მარცხით დამთავრებული ცდები. მის თვალწინ იყო ძველი ავსტრია-უნგრეთის მარცხით დამთავრებული ცდა. და მან მაინც მიმართა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდას, ვინაიდან მან იცოდა, რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილმა მრავალეროვანმა სახელმწიფომ უნდა გაუძლოს ყველა და ყოველგვარ განსაცდელს.

მას შემდეგ 14 წელმა განვლო. პერიოდი საკმარისია იმისათვის, რომ შევამოწმოთ ცდა. და მერე? განვლილმა პერიოდმა უეჭველად დაგვანახვა, რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდა სრული წარმატებით დამთავრდა. ეს არის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის უეჭველი გამარჯვება. **(ხანგრძლივი ტაში).**

რითი უნდა აიხსნას ეს გამარჯვება?

არარსებობამ ექსპლოატატორთა კლასებისამ, რომლებიც ნაციათა შორის ჩხუბის ძირითად ორგანიზატორებს წარმოადგენენ; არარსებობამ ექსპლოატაციისამ, რომელიც ურთიერთუნდობლობას ნერგავს და ნაციონალისტურ ვნებებს აღვივებს; იმან, რომ ძალაუფლების სათავეში სდგას მუშათა კლასი, რომელიც მტერია ყოველგვარი დამონებისა და ერთგული მატარებელია ინტერნაციონალიზმის იდეებისა; ხალხთა ურთიერთდახმარების ფაქტიურმა განხორციელებამ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში; ბოლოს, სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ, — ყოველივე ამან და მათმა მსგავსმა ფაქტორებმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე, გაქრა მათში ურთიერთ უნდობლობის გრძნობა, განვითარდა მათში ურთიერთ მეგობრობის გრძნობა და, ამგვარად, მოგვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში.

ამის შედეგად ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეს შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში. **(მქუხარე ტაში).**

ასეთია ის ცვლილებანი, რომლებიც განვლილი პერიოდის მანძილზე მოხდა სსრ კავშირში ნაციონალურ ურთიერთდამოკიდებულებათა სფეროში.

ასეთია სსრ კავშირის სამეურნეო და საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრების იმ ცვლილებათა საერთო შედეგი, რომლებიც 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში მოხდა.

## III
## კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი

რა ასახვა ჰპოვა სსრ კავშირის ცხოვრებაში მომხდარმა ყველა ამ ცვლილებამ ახალი კონსტიტუციის პროექტში?

სხვანაირად რომ ვთქვათ: როგორია ძირითადი თავისებურებანი კონსტიტუციის პროექტისა, რომელიც ამ ყრილობას განსახილველად აქვს წარმოდგენილი?

საკონსტიტუციო კომისიას დავალებული ჰქონდა შეეტანა ცვლილებანი 1924 წლის კონსტიტუციის ტექსტში. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შედეგად მივიღეთ კონსტიტუციის ახალი ტექსტი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ახალი კონსტიტუციის პროექტის შედგენისას საკონსტიტუციო კომისია იქიდან გამოდიოდა, რომ კონსტიტუცია არ უნდა იქნას არეული პროგრამასთან. ეს ნიშნავს, რომ პროგრამასა და კონსტიტუციას შორის არსებითი განსხვავება არის. მაშინ როდესაც პროგრამა ლაპარაკობს იმაზე, რაც ჯერ კიდევ არ არის და რაც ჯერ კიდევ მიღწეულ და მოპოვებულ უნდა იქნას მომავალში, კონსტიტუცია, პირიქით, უნდა ლაპარაკობდეს იმაზე, რაც უკვე არის, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია ახლა, აწმყოში. პროგრამა უმთავრესად ეხება მომავალს, კონსტიტუცია—აწმყოს.

ორი მაგალითი ილუსტრაციისათვის.

ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებამ მიაღწია იმას, რომ ძირითადად უკვე განახორციელა სოციალიზმი, შექმნა სოციალისტური წყობილება, ე. ი. განახორციელა ის, რასაც მარქსისტები სხვანაირად კომუნიზმის პირველ ანუ დაბალ ფაზას უწოდებენ. მაშასადამე, ჩვენში ძირითადად უკვე განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა, სოციალიზმი **(ხანგრძლივი ტაში).** კომუნიზმის ამ ფაზის ძირითადი პრინციპი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ფორმულა: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს—მისი შრომის მიხედვით". უნდა ასახოს თუ არა ჩვენმა კონსტიტუციამ ეს ფაქტი, სოციალიზმის მოპოვების ფაქტი? უნდა დაემყაროს თუ არა იგი ამ მონაპოვარს? უსათუოდ უნდა დაემყაროს. უნდა დაემყაროს, რადგან სოციალიზმი სსრ კავშირისათვის არის ის, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია.

მაგრამ საბჭოთა საზოგადოებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია კომუნიზმის მაღალი ფაზის განხორციელებისათვის, სადაც გაბატონებული პრინციპი იქნება ფორმულა: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მისი მოთხოვნილების მიხედვით", თუმცა კი იგი მიზნად ისახავს მიაღწიოს მომავალში კომუნიზმის უმაღლესი ფაზის განხორციელებას. შეუძლიან თუ არა ჩვენს კონსტიტუციას დაემყაროს კომუნიზმის უმაღლეს ფაზას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის და რომელიც ჯერ კიდევ მოპოვებულ უნდა იქნას? არა, არ შეუძლიან, რადგან კომუნიზმის უმაღლესი ფაზა სსრ კავშირისათვის არის ის, რაც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა და რაც მომავალში უნდა განხორციელდეს. არ შეუძლიან, თუ არ უნდა მას გადაიქცეს პროგრამად, ან დეკლარაციად მომავალ მონაპოვართა შესახებ.

ასეთია ჩვენი კონსტიტუციის ჩარჩოები მოცემულ ისტორიულ მომენტში.

ამგვარად, ახალი კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს განვლილი გზის შედეგს, უკვე მიღწეულ მონაპოვართა შედეგს. იგი, მაშასადამე, წარმოადგენს იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც საქმით უკვე მიღწეული და მოპოვებულია **(მქუხარე ტაში).**

ამაშია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის პირველი თავისებურება.

შემდეგ. ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები ჩვეულებრივ გამოდიან კაპიტალისტური წყობილების ურყევლობის რწმენიდან. ამ კონსტიტუციათა მთავარ საფუძველს შეადგენენ კაპიტალიზმის პრინციპები, მისი ძირითადი საყრდენები: მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრება; ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაცია და ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა არსებობა; მშრომელი უმრავლესობის არაუზრუნველყოფა საზოგადოების ერთ პოლუსზე და არამშრომელი, მაგრამ უზრუნველყოფილი უმცირესობის ფუფუნება მეორე პოლუსზე; და სხვ. და ა. შ. ისინი ეყრდნობიან კაპიტალიზმის ამ და მათ მსგავს საყრდენებს. ისინი იმათ ასახავენ, ისინი იმათ განამტკიცებენ საკანონმდებლო წესით.

მათგან განსხვავებით სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოდის კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაციის ფაქტიდან, სსრ კავშირში სოციალისტური წყობილების გამარჯვების ფაქტიდან. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მთავარ საფუძველს შეადგენენ სოციალიზმის პრინციპები, მისი ძირითადი საყრდენები, უკვე მოპოვებულნი და განხორციელებულნი: მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოო იარაღებისა და საშუალებების სოციალისტური საკუთრება; ექსპლოატაციისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკ-

გაგრძელება იხ. მე-2 გვ.

# ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ

## გაგრძელება

ვიდაცია; უმრავლესობის სიღარიბისა და უმცირესობის ფუფუნების ლიკვიდაცია; უმუშევრობის ლიკვიდაცია; შრომა, როგორც თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე ფორმულით: „ვინც არ მუშაობს, ის ვერც სჭამს". შრომის უფლება, ე. ი. თვითეული მოქალაქის უფლება მიიღოს გარანტირებული სამუშაო; დასვენების უფლება; განათლების უფლება; და სხვ. და ა. შ. ახალი კონსტიტუციის პროექტი ეყრდნობა სოციალიზმის ამ და მათ მსგავს მონაპოვრებს, იგი მათ აფიქსირებს, იგი მათ განამტკიცებს საკანონმდებლო წესით.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მეორე თავისებურება.

შემდეგ. ბურჟუაზიული კონსტიტუციები მდუმარედ გამოდიან იმ წანამძღვრიდან, რომ საზოგადოება შესდგება ანტაგონისტური კლასებისაგან, იმ კლასებისაგან, რომლებიც სიმდიდრეს ჰფლობენ, და იმ კლასებისაგან, რომლებიც მას არ ჰფლობენ, რომ რომელი პარტიაც უნდა ჩაუდგეს ხელისუფლებას სათავეში, საზოგადოების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა (დიქტატურა) უნდა ეკუთვნოდეს ბურჟუაზიას, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რათა განმტკიცდეს საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია შეძლებული კლასებისათვის.

ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოდის იქიდან, რომ საზოგადოებაში უკვე აღარ არიან ანტაგონისტური კლასები, რომ საზოგადოება შესდგება ორი ერთმანეთთან მეგობრული კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან, რომ ხელისუფლების სათავეში დგანან სწორედ ეს შრომელი კლასები, რომ საზოგადოების სახელმწიფო ხელმძღვანელობა (დიქტატურა) ეკუთვნის მუშათა კლასს, როგორც საზოგადოების მოწინავე კლასს, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რათა განვამტკიცოთ საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია მშრომელებისათვის.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მესამე თავისებურება.

შემდეგ. ბურჟუაზიული კონსტიტუციები მდუმარედ გამოდიან იმ წანამძღვრიდან, რომ ნაციები და რასები არ შეიძლება თანასწორუფლებიანი იყვნენ, რომ არიან სრულუფლებიანი ნაციები და არიან არასრულუფლებიანი ნაციები, რომ, ამას გარდა, არსებობს კიდევ ნაციებისა ან რასების მესამე კატეგორია, მაგალითად, კოლონიებში, რომლებსაც კიდევ უფრო ნაკლები უფლებები აქვთ, ვიდრე არასრულუფლებიან ნაციებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ეს კონსტიტუცია თავისი საფუძვლით წარმოადგენს ნაციონალისტურს, ე. ი. გაბატონებული ნაციების კონსტიტუციებს.

ამ კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, პირიქით, ღრმად ინტერნაციონალურია. იგი გამოდის იქიდან, რომ ყველა ნაცია და რასა თანასწორუფლებიანია. იგი გამოდის იქიდან, რომ განსხვავება კანის ფერისა ან ენისა, კულტურული დონისა, ან სახელმწიფო განვითარების დონისა, ისევე როგორც სხვა რომელიმე განსხვავება ნაციებსა და რასებს შორის — არ შეიძლება გახდეს იმის საბუთი, რომ გავამართლოთ ნაციონალური არათანასწორუფლებიანობა. იგი გამოდის იქიდან, რომ ყველა ნაცია და რასა, მათი წარსული და ახლანდელი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, მათი ძალისა ან სისუსტისაგან დამოუკიდებლად, — უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით საზოგადოების სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მეოთხე თავისებურება.

ახალი კონსტიტუციის პროექტის მეხუთე თავისებურებას წარმოადგენს მისი თანმიმდევრობითი და ბოლომდე დაცული დემოკრატიზმი. დემოკრატიზმის თვალსაზრისით ბურჟუაზიული კონსტიტუციები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: კონსტიტუციათა ერთი ჯგუფი პირდაპირ უარჰყოფს ან ფაქტიურად არარაობად აქცევს მოქალაქეთა უფლებათა თანასწორობას და დემოკრატიულ თავისუფლებებს. კონსტიტუციათა მეორე ჯგუფი ხალისით ღებულობს და საქვეყნოდ გაჰკივის დემოკრატიულ საწყისებზე. მაგრამ ამასთან უკეთებს ისეთ შენიშვნებსა და შეზღუდვებს, რომ დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებანი სრულიად დამახინჯებული გამოდის. ისინი ლაპარაკობენ თანასწორ საარჩევნო უფლებებზე ყველა მოქალაქისათვის, მაგრამ იქვე ზღუდავენ მათ ბინადრობით, განათლების ცენზით და ქონებრივი ცენზითაც კი. ისინი ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორ უფლებებზე, მაგრამ იქვე უკეთებენ შენიშვნას, რომ ეს არ შეეხება ქალებს, ან შეეხება მათ ნაწილობრივ. და სხვ. და ა. შ.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისუფალია მსგავსი შენიშვნებისა და შეზღუდვებისაგან. მისთვის არ არსებობენ აქტიური ან პასიური მოქალაქენი, მისთვის ყველა მოქალაქე აქტიურია. იგი არ სცნობს განსხვავებას მამაკაცთა და ქალთა, „ბინადართა" და „არა-ბინადართა", შეძლებულთა და უქონელთა, განათლებულთა და გაუნათლებელთა უფლებებში. მისთვის ყველა მოქალაქე თანასწორია თავის უფლებებში. არა ქონებრივი მდგომარეობა, არა ნაციონალური წარმოშობა, არა სქესი, არა სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თვითეული მოქალაქის პირადი უნარი და პირადი შრომა განსაზღვრავენ მის მდგომარეობას საზოგადოებაში.

დასასრულ, ახალი კონსტიტუციის პროექტის კიდევ ერთი თავისებურება. ბურჟუაზიული კონსტიტუციები ჩვეულებრივად სჯერდებიან მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას და არ ზრუნავენ ამ უფლებათა განხორციელების პირობებზე, მათი განხორციელების შესაძლებლობაზე, მათი განხორციელების საშუალებებზე. ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორობაზე, მაგრამ ავიწყდებათ, რომ არ შეიძლება ნამდვილი თანასწორობა მებატონესა და მუშას შორის, მემამულესა და გლეხს შორის, თუ პირველთ აქვთ სიმდიდრე და პოლიტიკური წონა საზოგადოებაში, ხოლო მეორენი მოკლებულნი არიან ერთსაც და მეორესაც, თუ პირველნი წარმოადგენენ ექსპლოატატორებს, ხოლო მეორენი — ექსპლოატირებულთ. ან კიდევ: ლაპარაკობენ სიტყვის, კრებებისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ყველა ეს თავისუფლება შეიძლება მუშათა კლასისათვის ლიტონსიტყვად გადაიქცეს, თუ იგი მოკლებულია შესაძლებლობას იქონიოს თავის განკარგულებაში შესაფერისი შენობები კრებებისათვის, კარგი სტამბები, საბეჭდი ქაღალდის საკმაო რაოდენობა და ა. შ.

ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ სჯერდება მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას, არამედ სიმძიმის ცენტრი გადააქვს ამ უფლებათა გარანტიების საკითხზე, ამ უფლებათა განხორციელების საშუალებების საკითხზე. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს მოქალაქეების უფლებათა თანასწორობას, არამედ კიდეც უზრუნველჰყოფს მას ექსპლოატაციის რეჟიმის ლიკვიდაციის ფაქტის, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან მოქალაქეთა განთავისუფლების ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს შრომის უფლებას, არამედ კიდეც უზრუნველჰყოფს მას საბჭოთა საზოგადოებაში კრიზისების არარსებობის ფაქტის, უმუშევრობის მოსპობის ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს დემოკრატიულ თავისუფლებებს, არამედ კიდეც უზრუნველჰყოფს მათ საკანონმდებლო წესით ცნობილი მატერიალური საშუალებებით. ამიტომ გასაგებია, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის დემოკრატიზმი წარმოადგენს არა „ჩვეულებრივ" და „საყოველთაოდ აღიარებულ" დემოკრატიზმს საერთოდ, არამედ სოციალისტურ დემოკრატიზმს.

ასეთია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი.

ასეთია სსრ კავშირის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების იმ ძვრათა და ცვლილებათა ასახვა ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომლებიც განხორციელდნენ 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში.

## IV

## კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკა

რამდენიმე სიტყვა კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკის შესახებ.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს კონსტიტუციის პროექტს უცხოეთის ბურჟუაზიული პრესა, უდავოდ წარმოადგენს ერთგვარ ინტერესს.

რამდენადაც უცხოეთის პრესა ასახავს ბურჟუაზიულ ქვეყანათა მოსახლეობის სხვადასხვა ფენების საზოგადოებრივ აზრს, ჩვენ არ შეგვიძლიან გვერდი ავუხვიოთ იმ კრიტიკას, რომელიც ამ პრესამ კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ გაშალა.

კონსტიტუციის პროექტის მიმართ უცხოეთის პრესის რეაქციის პირველი ნიშნები გამოიხატა გარკვეულ ტენდენციაში — დუმილით შეხვედროდა კონსტიტუციის პროექტს. აქ მე მხედველობაში მაქვს უკიდურესად რეაქციული, ფაშისტური პრესა. კრიტიკოსთა ამ ჯგუფმა უმჯობესად ჩათვალა უბრალოდ დუმილით შეხვედროდა კონსტიტუციის პროექტს, ისე წარმოედგინა საქმე, თითქოს პროექტი არ ყოფილიყოს და იგი საერთოდ არ არსებობს ბუნებაში. შეიძლება სთქვან, დუმილით შეხვედრა არ არის კრიტიკა. მაგრამ ეს არაა მართალი. დუმილით შეხვედრის მეთოდი, როგორც უგულებელყოფის განსაკუთრებული საშუალება, არის აგრეთვე კრიტიკის ფორმა, მართალია, სულელური და სასაცილო, მაგრამ მაინც კრიტიკის ფორმა (საერთო სიცილი, ტაში). მაგრამ დუმილით შეხვედრის მეთოდიდან მათ არაფერი გამოუვიდათ. ბოლოსდაბოლოს ისინი იძულებული გახდნენ გაეხსნათ სარქველი და ეუწყებინათ მსოფლიოსათვის, რომ რარიგ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი მაინც არსებობს, და არა თუ არსებობს, არამედ მავნე ზემოქმედებასაც ახდენს ადამიანთა გონებაზე. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან მაინც არის ქვეყნად საზოგადოებრივი აზრი, მკითხველები, ცოცხალი ადამიანები, რომელთაც სურთ იცოდნენ სიმართლე ფაქტების შესახებ, და მათი დიდხანს ყოლა მოტყუების მარწუხებში სრულიად შეუძლებელია. მოტყუებით შორს ვერ წახვალ...

მეორე ჯგუფი კრიტიკოსებისა აღიარებს, რომ კონსტიტუციის პროექტი ნამდვილად არსებობს ბუნებაში, მაგრამ იგი თვლის, რომ პროექტი არ წარმოადგენს დიდ ინტერესს, რადგან იგი არსებითად თურმე არა კონსტიტუციის პროექტი, არამედ ფარატინა ქაღალდი, ცარიელი დაპირება, ნავარაუდევი ერთგვარი მანევრის გასაკეთებლად და ხალხის მოსატყუებლად. ამასთან ისინი დასძენენ, რომ უკეთესი პროექტის მოცემა საბჭოთა კავშირს არც შეეძლო, რადგან თვითონ სსრ კავშირი წარმოადგენს არა სახელმწიფოს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ — გეოგრაფიულ ცნებას (საერთო სიცილი), ხოლო რაკი იგი სახელმწიფოს არ წარმოადგენს, ამიტომ მისი კონსტიტუცია არ შეიძლება ნამდვილი კონსტიტუცია იყოს. კრიტიკოსთა ამ ჯგუფის ტიპიური წარმომადგენელია, რარიგ უცნაურიც არ უნდა იყოს ეს, გერმანიის ოფიციოზი „დოიჩე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენც". ეს ჟურნალი პირდაპირ ამბობს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს ცარიელ დაპირებას, მოტყუებას, „პოტიომკინის სოფელს". იგი უყოყმანოდ აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი არ არის სახელმწიფო, რომ საბჭოთა კავშირი „სხვა არაფერია, თუ არა ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული ცნება" (საერთო სიცილი), რომ ამიტომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია არ შეიძლება ნამდვილ კონსტიტუციად იქნას აღიარებული.

რა შეიძლება ითქვას ასეთ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე?

ერთერთ თავის ზღაპარ-მოთხრობაში დიდი რუსი მწერალი შჩედრინი იძლევა თავხედა ბიუროკრატის ტიპს, რომელიც ძალიან შეზღუდულია და გონებაჩლუნგი, მაგრამ უაღრესად დარწმუნებული თავისთავში და ფიცხი. მას შემდეგ, რაც ამ ბიუროკრატმა მისდამი „რწმუნებულ" ოლქში „წესრიგი და სიწყნარე" დაამყარა, რისთვისაც ათასობით მცხოვრებნი გაჟლიტა და ათობით ქალაქები გადაწვა, მან მიმოიხედა და ჰორიზონტზე შენიშნა ამერიკა, რასაკვირველია, ნაკლებადცნობილი ქვეყანა, სადაც, თურმე, არის რაღაც თავისუფლებები, რომლებსაც ხალხში შფოთი შეაქვთ და სადაც სახელმწიფოს სხვა მეთოდებით მართავენ. ბიუროკრატმა ამერიკა შენიშნა და აღშფოთდა: ეს რა ქვეყანაა, საიდან გაჩნდა იგი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი? (საერთო სიცილი, ტაში). რასაკვირველია, იგი შემთხვევით აღმოაჩინეს რამდენიმე საუკუნის წინათ, მაგრამ განა არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს? (საერთო სიცილი). და, სთქვა თუ არა ეს, დაადო რეზოლუცია: „კვლავ დაიხუროს ამერიკა". (საერთო სიცილი).

მე მგონია, რომ ვაჟბატონები „დოიჩე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენციდან" როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგვანან შჩედრინის ბიუროკრატს (საერთო სიცილი, მოწონების ტაში). ამ ვაჟბატონებს საბჭოთა კავშირი უკვე დიდი ხანია თვალში ეჩხირებათ. ცხრამეტი წელიწადია დგას საბჭოთა კავშირი, როგორც შუქურა, რომელიც განთავისუფლების სულით მსჭვალავს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს და ცოფს ჰგვრის მუშათა კლასის მტრებს. და იგი, ეს საბჭოთა კავშირი, თურმე, არა თუ მხოლოდ არსებობს, არამედ იზრდება კიდეც, და არა თუ იზრდება, არამედ წარმატებებსაც აღწევს, და არა თუ წარმატებებს აღწევს, არამედ ახალი კონსტიტუციის პროექტსაც კი სთხზავს, პროექტს, რომელიც აღაგზნებს ადამიანთა გონებას, ახალ იმედებს უნერგავს დაჩაგრულ კლასებს (ტაში). როგორ არ უნდა აღშფოთდნენ ამის შემდეგ ვაჟბატონები გერმანული ოფიციოზიდან? რა ქვეყანაა ეს ქვეყანა, გაიძახიან ისინი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი (საერთო სიცილი), და თუ იგი 1917 წლის ოქტომბერში აღმოაჩინეს, რატომ არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს? და, სთქვეს რა ეს, დაადგინეს: კვლავ დაიხუროს საბჭოთა კავშირი, ყველამ გასაგონად გამოცხადდეს, რომ საბჭოთა კავშირი როგორც სახელმწიფო, არ არსებობს, რომ საბჭოთა კავშირი სხვა არაფერია, თუ არა უბრალო გეოგრაფიული ცნება! (საერთო სიცილი).

აღებდა რა რეზოლუციას იმის შესახებ, რომ კვლავ დაიხუროს ამერიკა, შჩედრინის ბიუროკრატმა, მიუხედავად მთელი თავისი სიჩლუნგისა, მაინც მონახა თავისთავში რეალურის გაგების ელემენტები, როცა ლაპარაკა რა იქვე თავისთვის: „მაგრამ, მგონი, საქმე ესე ჩემზე არ არის დამოკიდებული". (მხიარული სიცილის გრიალი, მქუხარე ტაში). მე არ ვიცი, ეყოფათ თუ არა ჭკუა ვაჟბატონებს გერმანული ოფიციოზიდან მიხვდნენ, რომ ამათუიმ სახელმწიფოს „დახურვა" ქაღალდზე მათ, რასაკვირველია, შეუძლიანთ, მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული"... (მხიარული სიცილის გრიალი, მქუხარე ტაში).

რაც შეეხება იმას, ვითომც სსრ კავშირის კონსტიტუცია წარმოადგენდეს ცარიელ დაპირებას, „პოტიომკინის სოფელს" და ა. შ., მე მინდა მივუთითო მთელ რიგ დადგენილ ფაქტებზე, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ.

1917 წელს სსრ კავშირის ხალხებმა დაამხეს ბურჟუაზია და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა, დაამყარეს საბჭოთა ძალაუფლება. ეს ფაქტია და არა დაპირება.

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა მემამულეთა კლასის ლიკვიდაცია და გლეხებს გადასცა 150 მილიონზე მეტი ჰექტარი ყოფილი მემამულური, სახაზინო და სამონასტრო მიწები და ეს — იმ მიწების გარდა, რომლებიც წინათაც გლეხთა ხელში იყო. ეს ფაქტია და არა დაპირება.

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა კაპიტალისტთა კლასის ექსპროპრიაცია, ჩამოართვა მათ ბანკები, ქარხნები, რკინიგზები და სხვა საწარმოო იარაღნი და საშუალებანი, გამოაცხადა ისინი სოციალისტურ საკუთრებად და ამ საწარმოთა სათავეში დააყენა მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანები. ეს ფაქტია და არა დაპირება. (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ, მოაწყო რა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ახალ, სოციალისტურ საფუძველზე, ახალი ტექნიკური ბაზით, საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ ამჟამად მიწათმოქმედება სსრ კავშირში იძლევა ერთნახევარჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე ომამდე იძლეოდა, მრეწველობა აწარმოებს შვიდჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე ომამდე, ხოლო სახალხო შემოსავალი გაიზარდა ერთიორად ომამდელ დროსთან შედარებით. ყოველივე ეს ფაქტებია და არა დაპირებანი. (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო უმუშევრობა, ცხოვრებაში გაატარა შრომის უფლება, დასვენების უფლება, განათლების უფლება, უზრუნველჰყო უკეთესი მატერიალური და კულტურული პირობები მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციისათვის, უზრუნველჰყო საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების გატარება ცხოვრებაში მოქალაქეთა ფარული კენჭისყრით. ყოველივე ეს ფაქტებია და არა დაპირებანი. (ხანგრძლივი ტაში).

დასასრულ, სსრ კავშირმა მოგვცა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც წარმოადგენს არა დაპირებას, არამედ ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც უკვე მიღწეულ და მოპოვებულია.

კითხვა იბადება, რა აზრი აქვს ყოველივე ამის შემდეგ გერმანული ოფიციოზის ვაჟბატონთა ლაყბობას „პოტიომკინის სოფლების" შესახებ, თუ არა ის, რომ მათ მიზნად დაისახეს დაუმალონ ხალხს სიმართლე სსრ კავშირის შესახებ, შეიყვანონ ხალხი შეცდომაში, მოატყუონ იგი.

ასეთია ფაქტები. ხოლო ფაქტები, როგორც იტყვიან, ჯიუტი რამ არის. ვაჟბატონებს გერმანული ოფიციოზიდან შეუძლიათ სთქვან: მით უარესი ფაქტებისათვის (საერთო სიცილი). მაგრამ მაშინ მათ შეგვიძლიან ვუპასუხოთ ცნობილი რუსული ანდაზის სიტყვებით: „რეგვენთათვის კანონი არ იწერება" (მხიარული სიცილი, ხანგრძლივი ტაში).

მესამე ჯგუფი კრიტიკოსთა არ უარყოფს ღირსებებს, გარკვეულ ღირსებებს კონსტიტუციის პროექტისას, იგი მას დადებით მოვლენად მიაჩნია, მაგრამ იგი, თურმე ნუ იტყვით, ძლიერ ეჭვობს, რომ შეიძლებოდეს მისი მთელ რიგ დებულებათა ცხოვრებაში გატარება, ვინაიდან იგი დარწმუნებულია, რომ ეს დებულებანი საერთოდ განუხორციელებელია და ქაღალდზე უნდა დარჩნენ. ეს, რბილად რომ ვთქვათ, სკეპტიკოსები არიან. ისინი, ეს სკეპტიკოსები ყველა ქვეყანაში მოიპოვებიან.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ მათ პირველად როდი ვხვდებით. როცა ბოლშევიკები 1917 წელს ძალაუფლებას ხელში იღებდნენ, სკეპტიკოსები ამბობდნენ: ბოლშევიკები, შეიძლება ითქვას, ცუდი ადამიანები არ არიან, მაგრამ ხელისუფლების მხრივ მათ საქმე არ გამოუვათ. ისინი ჩაფლავდებიან. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ჩაფლავდნენ არა ბოლშევიკები, არამედ სკეპტიკოსები.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დროს სკეპტიკოსთა ეს ჯგუფი ამბობდა: საბჭოთა ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ცუდი რამ არ არის, მაგრამ დენიკინი და კოლჩაკი პლუს უცხოელები მას, ალბათ, დაამარცხებენ. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ სკეპტიკოსები აქაც მოტყუვდნენ ანგარიშში.

როცა საბჭოთა ხელისუფლებამ პირველი ხუთწლიანი გეგმა გამოაქვეყნა, სკეპტიკოსები კვლავ გამოვიდნენ სცენაზე და ამბობდნენ: ხუთწლედი, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ არა გვგონია მისი განხორციელება შეიძლებოდეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლშევიკებს ხუთწლედის მხრივ საქმე არ გამოუვათ. მაგრამ ფაქტებმა დაგვანახვეს, რომ სკეპტიკოსებს კვლავ უმტყუნა ბედმა: ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში იქნა განხორციელებული.

იგივე უნდა ითქვას ახალი კონსტიტუციის პროექტზე და მის კრიტიკაზე სკეპტიკოსთა მხრით. საკმარისი იყო პროექტის გამოქვეყნება, რომ კრიტიკოსთა ეს ჯგუფი კვლავ გამოჩენილიყო სცენაზე თავისი ნაღვლიანი სკეფსისით, თავისი ეჭვებით კონსტიტუციის ზოგიერთი დებულების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ. არავითარი საფუძველი არ არსებობს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ სკეპტიკოსები ამ შემთხვევაშიაც ჩაფლავდებიან, ახლაც ისევე ჩაფლავდებიან, როგორც ისინი წარსულში არაერთხელ ჩაფლავებულან.

მეოთხე ჯგუფი კრიტიკოსებისა, იერიში მიაქვს რა ახალი კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ, ახასიათებს მას, როგორც „ძვრას მარჯვნივ", როგორც „ხელის აღებას პროლეტარიატის დიქტატურაზე", როგორც „ბოლშევიკური რეჟიმის ლიკვიდაციას". „ბოლშევიკები მარჯვნივ გადაიხარნენ, ეს ფაქტია" — ამბობენ ისინი სხვადასხვა ხმაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გულმოდგინეობენ ზოგიერთი პოლონური და ნაწილობრივ ამერიკული გაზეთები.

რა შეიძლება ითქვას ამ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე?

თუ მუშათა კლასის დიქტატურის ბაზის გაფართოებას და დიქტატურის გადაქცევას საზოგადოების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის უფრო მოქნილ, მაშასადამე, — უფრო მძლავრ სისტემად ისინი განმარტავენ არა როგორც მუშათა კლასის დიქტატურის გაძლიერებას, არამედ როგორც მის დასუსტებას ანდა მასზე ხელის აღებასაც კი, მაშინ უფლება გვაქვს ვკითხოთ: იციან კი საერთოდ ამ ვაჟბატონებმა — რა არის მუშათა კლასის დიქტატურა?

თუ სოციალიზმის გამარჯვების საკანონმდებლო განმტკიცებას, ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და დემოკრატიზაციის წარმატებათა საკანონმდებლო განმტკიცებას ისინი უწოდებენ „ძვრას მარჯვნივ", მაშინ უფლება გვაქვს ვკითხოთ: იციან კი საერთოდ ამ ვაჟბატონებმა — რითი განსხვავდება მარცხენა მარჯვენისაგან? (საერთო სიცილი, ტაში).

არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ეს ვაჟბატონები საბოლოოდ დაიბნენ კონსტიტუციის პროექტის თავიანთ კრიტიკაში და, რაკი დაიბნენ, ერთმანეთში აურიეს მარჯვენა და მარცხენა.

ამ შემთხვევაში გვერდს არ შეიძლება არ გავიხსენოთ შინყმა „გოგო" პელაგია გოგოლის „მკვდარი სულებიდან". მან, როგორც გოგოლი მოგვითხრობს, ერთხელ როგორღაც იკისრა გზა ეჩვენებინა ჩიჩიკოვის მეეტლე სელიფანისათვის, მაგრამ, რადგან ვერ შესძლო გაერჩია გზის მარჯვენა მხარე მისი მარცხენა მხარისაგან, დაიბნა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი კრიტიკოსები პოლონური გაზეთებიდან, მთელი მათი ამბიციის მიუხედავად, მაინც ბევრად ვერ გასცილებიან „მკვდარი სულების" შინყმა „გოგო" პელაგიის გაგების დონეს (ტაში). თუ გაიხსენებთ, მეეტლე სელიფანმა საჭიროდ ჩათვალა დაეტუქსა პელაგია იმისათვის, რომ მან ერთმანეთში აურია მარჯვენა და მარცხენა, და უთხრა მას: „ეჰ, შე შავფეხავ... არ იცი სად არის მარჯვენა და სად მარცხენა". მე მგონია მართებული იქნებოდა ასევე დაგვეტუქსა ჩვენი ჭკუამოკლე კრიტიკოსები და გვეთქვა მათთვის: ეჰ, თქვენ ვაი-კრიტიკოსებო... არ იცით, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა. (ხანგრძლივი ტაში).

დასასრულ, კიდევ ერთი ჯგუფი კრიტიკოსებისა. თუ წინა ჯგუფი ბრალსა სდებს კონსტიტუციის პროექტს იმაში, რომ იგი ხელს იღებს მუშათა კლასის დიქტატურაზე, ეს ჯგუფი, პირიქით, ბრალსა სდებს მას იმაში, რომ იგი არაფერს არა სცვლის სსრ კავშირში არსებულ მდგომარეობაში, რომ იგი ხელუხლებელს სტოვებს მუშათა კლასის დიქტატურას, დაუშვებლად სთვლის პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას და ძალაში სტოვებს კომუნისტთა პარტიის ახლანდელ ხელმძღვანელ მდგომარეობას სსრ კავშირში. ამასთან, კრიტიკოსთა ამ ჯგუფს მიაჩნია, რომ სსრ კავშირში პარტიათა თავისუფლების არარსებობა დემოკრატიზმის საფუძვლების დარღვევის ნიშანს წარმოადგენს.

მე უნდა ვაღიარო, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი მართლაც ძალაში სტოვებს მუშათა კლასის დიქტატურის რეჟიმს, ისევე როგორც უცვლელად სტოვებს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ახლანდელ ხელმძღვანელ მდგომარეობას (მქუხარე ტაში). თუ პატივცემულ კრიტიკოსებს ეს კონსტიტუციის პროექტის ნაკლად მიაჩნიათ, მაშინ შეგვიძლიან მხოლოდ სინანული გამოვთქვათ ამის გამო. ჩვენ კი, ბოლშევიკები ამას კონსტიტუციის პროექტის ღირსებად ვთვლით. (მქუხარე ტაში).

რაც შეეხება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის თავისუფლებას, ჩვენ აქ რამდენადმე სხვა შეხედულებებისა ვართ. პარტია არის კლასის ნაწილი, მისი მოწინავე ნაწილი. რამდენიმე პარტია და, მაშასადამე, პარტიების თავისუფლება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც არიან ანტაგონისტური კლასები, რომელთა ინტერესები მტრული და შეურიგებელია, სადაც არიან, ვთქვათ, კაპიტალისტები და მუშები, მემამულეები და გლეხები, კულაკები და ღარიბები და ა. შ. მაგრამ სსრ კავშირში უკვე აღარ არიან ისეთი კლასები, როგორც კაპიტალისტები, მემამულეები, კულაკები და ა. შ. სსრ კავშირში არის მხოლოდ ორი კლასი — მუშები და გლეხები, რომელთა ინტერესები არა თუ მტრული არ არის, არამედ პირიქით — მეგობრულია. მაშასადამე, სსრ კავშირში არ არის ნიადაგი რამდენიმე პარტიის არსებობისათვის და, მაშასადამე, ამ პარტიების თავისუფლებისათვისაც. სსრ კავშირში არის ნიადაგი მხოლოდ ერთი პარტიისათვის, კომუნისტური პარტიისათვის. სსრ კავშირში არსებობა შეუძლიან მხოლოდ ერთ პარტიას — კომუნისტთა პარტიას, რომელიც გაბედულად და ბოლომდე იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს. ხოლო რომ იგი ამ კლასთა ინტერესებს ცუდად არ იცავს, ამაში არა მგონია შესაძლებელი იყოს რაიმე ეჭვის შეტანა (მქუხარე ტაში).

ლაპარაკობენ დემოკრატიაზე. მაგრამ რა არის დემოკრატია? დემოკრატია კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ანტაგონისტური კლასები არსებობენ, საბოლოო ანგარიშით არის დემოკრატია ძლიერთათვის, დემოკრატია მქონებელი უმცირესობისათვის. დემოკრატია სსრ კავშირში, პირიქით, არის დემოკრატია მშრომელთათვის, ე. ი. დემოკრატია ყველასათვის. მაგრამ აქედან გამომდინარეობს ის, რომ დემოკრატიზმის საფუძვლებს არღვევს არა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, არამედ — ბურჟუაზიული კონსტიტუციები. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ სსრ კავშირის კონსტიტუცია წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთ ბოლომდე დემოკრატიულ კონსტიტუციას.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკის მხრივ.

## V

## შესწორებანი და დამატებანი კონსტიტუციის პროექტისათვის

გადავიდეთ პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისას მოქალაქეთა მიერ კონსტიტუციის პროექტისათვის შემოტანილ შესწორებათა და დამატებათა საკითხზე.

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ, როგორც იცით, შესწორებათა და დამატებათა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა მოგვცა. ყველა ისინი გამოქვეყნებულია საბჭოთა პრესაში. შესწორებათა დიდი მრავალფეროვნებისა და მათი არაერთნაირი ღირებულების გამო, ჩემის აზრით, მართებული იქნებოდა მათი დაყოფა სამ კატეგორიად.

პირველი კატეგორიის შესწორებათა განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი კონსტიტუციის საკითხებს კი არ შეეხებიან, არამედ მომავალი საკანონმდებლო ორგანოების მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობის საკითხებს. დაზღვევის ცალკეული საკითხები, საკოლმეურნეო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი, სამრეწველო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი, საფინანსო საქმის საკითხები, — ასეთია ამ შესწორებათა თემები. როგორც სჩანს, ამ შესწორებათა ავტორებს ვერ გაუთვალისწინებიათ განსხვავება საკონსტიტუციო საკითხებსა და მიმდინარე კანონმდებლობის საკითხებს შორის. სწორედ ამიტომ ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი კანონი ჩასჩედონ კონსტიტუციაში, მიჰყავთ რა საქმე იქით, რომ კონსტიტუცია ჰგავდეს კანონთა რაღაც კრებულის მაგვარად. მაგრამ კონსტიტუცია არ არის კანონთა კრებული. კონსტიტუცია არის ძირითადი კანონი, და მხოლოდ ძირითადი კანონი. კონსტიტუცია არა თუ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს მომავალი საკანონმდებლო ორგანოების მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობას. კონსტიტუცია იძლევა იურიდიულ ბაზას ასეთი ორგანოების მომავალი საკანონმდებლო მუშაობისათვის. ამიტომ ასეთი ხასიათის შესწორებანი და დამატებანი, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ კონსტიტუციასთან, ჩემის აზრით, უნდა გადაეცეს ქვეყნის მომავალ საკანონმდებლო ორგანოებს.

მეორე კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ისეთი შესწორებანი და დამატებანი, რომლებიც ცდილობენ შეიტანონ კონსტიტუციაში ისტორიულ ცნობათა ელემენტები ან დეკლარაციის ელემენტები იმაზე, თუ ჯერ კიდევ რას ვერ მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებამ და რას უნდა მიაღწიოს მან მომავალში. აღინიშნოს კონსტიტუციაში, თუ რა სიძნელეები გადალახა მრავალი წლის მანძილზე პარტიამ, მუშათა კლასმა და ყველა მშრომელმა სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში; მითითებულ იქნას კონსტიტუციაში საბჭოთა მოძრაობის საბოლოო მიზანი, ე. ი. სრული კომუნისტური საზოგადოების აგება, — ასეთია ამ შესწორებათა თემები, რომლებიც სხვადასხვა ვარიაციით მეორდება. მე ვფიქრობ, ასეთი შესწორებანი და დამატებანი განზე უნდა გადაიდოს, რადგან მათ არა აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება კონსტიტუციასთან. კონსტიტუცია არის იმ მიღწევათა რეგისტრაცია და საკანონმდებლო განმტკიცება, რომლებიც უკვე მოპოვებულია და უზრუნველყოფილი. თუ ჩვენ არ გვინდა კონსტიტუციის ამ ძირითადი ხასიათის დამახინჯება, იგი არ უნდა ავავსოთ ისტორიული ცნობებით წარსულზე, ანდა დეკლარაციებით სსრ კავშირის მშრომელთა მომავალ მონაპოვრებზე. ამ საქმისათვის ჩვენ გვაქვს სხვა გზები და სხვა დოკუმენტები.

ბოლოს, მესამე კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ისეთი შესწორებანი და დამატებანი, რომელთაც აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება კონსტიტუციის პროექტთან.

ამ კატეგორიის შესწორებათა მნიშვნელოვან ნაწილს სარედაქციო ხასიათი აქვს. ამიტომ შეიძლებოდა ისინი გადაგვეცა ამ ყრილობის სარედაქციო კომისიისათვის, რომელსაც, ვფიქრობ, ყრილობა შექმნის და დაავალებს მას დაადგინოს ახალი კონსტიტუციის ტექსტის საბოლოო რედაქცია.

რაც შეეხება მესამე კატეგორიის დანარჩენ შესწორებებს, მათ უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვთ, და მათ შესახებ, ჩემის აზრით, აქ უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა.

1) უწინარეს ყოვლისა შესწორებებზე კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლისათვის. არის ოთხი შესწორება. ერთნი წინადადებას იძლევიან — ნაცვლად სიტყვებისა „მუშათა და გლეხთა სახელმწიფო" ითქვას: „მშრომელთა სახელმწიფო". მეორენი წინადადებას იძლევიან — სიტყვებს „მუშათა და გლეხთა სახელმწიფო" დაემატოს: „და მშრომელი ინტელიგენციის". მესამენი წინადადებას იძლევიან — ნაცვლად სიტყვებისა „მუშათა და გლეხთა სახელმწიფო" ითქვას: „სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა რასისა და ერების სახელმწიფო". მეოთხენი წინადადებას იძლევიან — სიტყვა „გლეხთა" შეიცვალოს სიტყვით „კოლმეურნეთა", ან სიტყვებით: „სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელთა".

უნდა მივიღოთ თუ არა ეს შესწორებანი? მე ვფიქრობ, რომ არ უნდა მივიღოთ.

რაზე ლაპარაკობს კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლი? იგი ლაპარაკობს საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობაზე. შეგვიძლიან თუ არა ჩვენ, მარქსისტებს, [illegible] ჩვენი საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობის საკითხი? არა, არ შეგვიძლიან. საბჭოთა საზოგადოება, როგორც ცნობილია, შესდგება ორი კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან. კონსტიტუციის პროექტის პირველი მუხლი სწორედ ამაზე ლაპარაკობს. მაშასადამე, კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლი სწორად ასახავს ჩვენი საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობას. შეიძლება გვკითხონ: მშრომელი ინტელიგენცია? ინტელიგენცია არასოდეს არ ყოფილა კლასი და არც შეიძლება იყოს, — იგი იყო და რჩება ფენად, რომელიც თავის წევრებს იძენს საზოგადოების ყველა კლასს შორის. ძველ დროს ინტელიგენცია თავის წევრებს იძენდა თავადაზნაურთა, ბურჟუაზიისა, ნაწილობრივ გლეხთა შორის და მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით მუშათა შორის. ჩვენს, საბჭოთა დროში, ინტელიგენცია თავის წევრებს იძენს უმთავრესად მუშათა და გლეხთა შორის. მაგრამ როგორადაც უნდა სძენდეს იგი და რა ხასიათიც უნდა ჰქონდეს მას, ინტელიგენცია მაინც არის ფენა და არა კლასი.

ხომ არ ლახავს ეს გარემოება მშრომელი ინტელიგენციის უფლებებს? სრულიადაც არა! კონსტიტუციის პროექტის პირველი მუხლი საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ფენის უფლებებზე კი არ ლაპარაკობს, არამედ ამ საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობაზე. საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ფენის უფლებებზე, მათ შორის მშრომელი ინტელიგენციის უფლებებზე, ლაპარაკია უმთავრესად კონსტიტუციის პროექტის მეათე და მეთერთმეტე თავებში. ამ თავებიდან ნათლად სჩანს, რომ მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია სავსებით თანასწორი არიან ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მაშასადამე, მშრომელი ინტელიგენციის უფლებათა შელახვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

იგივე უნდა ითქვას სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ნაციებისა და რასების შესახებ. კონსტიტუციის პროექტის მეორე თავში უკვე ნათქვამია, რომ სსრ კავშირი არის თანასწორუფლებიანი ნაციების თავისუფალი კავშირი. განა ღირს ამ ფორმულის განმეორება კონსტიტუციის პროექტის პირველ მუხლში, რომელიც ლაპარაკობს საბჭოთა საზოგადოების არა ნაციონალურ შემადგენლობაზე, არამედ მის კლასობრივ შემადგენლობაზე? ცხადია, რომ არა ღირს. რაც შეეხება სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ნაციებისა და რასების უფლებებს, ამაზე ლაპარაკია კონსტიტუციის პროექტის მეორე, მეათე და მეთერთმეტე თავებში. ამ თავებიდან ნათლად სჩანს, რომ სსრ კავშირის ერები და რასები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მაშასადამე, ნაციონალურ უფლებათა შელახვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

ასევე უმართებულო იქნებოდა შეგვეცვალა სიტყვა „გლეხი" სიტყვით „კოლმეურნე", ან სიტყვებით „სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელი". ჯერ ერთი, გლეხთა შორის გარდა კოლმეურნეებისა ჯერ კიდევ არის მილიონზე მეტი კომლი არა-კოლმეურნენი. რა ვუყოთ მათ? ხომ არ ფიქრობენ ამ შესწორების ავტორები, რომ ისინი სათვალავში არ მივიღოთ? ეს გონივრული არ იქნებოდა. მეორე, — თუ გლეხთა უმრავლესობა უკვე ეწევა საკოლმეურნეო მეურნეობას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი აღარ არის გლეხობა, რომ მას უკვე არა აქვს თავისი პირადი მეურნეობა, პირადი კარმიდამო და ა. შ. მესამე, მაშინ საჭირო გახდებოდა შეგვეცვალა აგრეთვე სიტყვა „მუშა" სიტყვებით „სოციალისტური მრეწველობის მშრომელი". მაგრამ შესწორების ავტორები ასეთ წინადადებას რატომღაც არ იძლევიან. დასასრულ, განა ჩვენში უკვე გაჰქრნენ მუშათა კლასი და გლეხთა კლასი? ხოლო თუ ისინი არ გამქრალან, განა საჭიროა ამოვშალოთ ლექსიკონიდან მათთვის დადგენილი სახელწოდებანი? შესწორების ავტორებს, როგორც ეტყობათ, მხედველობაში აქვთ არა ახლანდელი, არამედ მომავალი საზოგადოება, როცა კლასები აღარ იქნებიან და როცა მუშები და გლეხები გადაიქცევიან ერთიანი კომუნისტური საზოგადოების მშრომელებად. მაშასადამე, ისინი აშკარად წინ მირბიან. მაგრამ კონსტიტუციის შედგენისას უნდა გამოვდიოდეთ არა მომავლიდან, არამედ აწმყოდან, იქიდან, რაც უკვე არის. კონსტიტუციას არ შეუძლიან და არც უნდა მირბოდეს წინ.

2) შემდეგ მიდის შესწორება კონსტიტუციის პროექტის მე-17 მუხლისათვის. შესწორება მდგომარეობს იმაში, რომ მოითხოვენ სრულიად გამორიცხონ კონსტიტუციის პროექტიდან მე-17 მუხლი, რომელიც ლაპარაკობს სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების თავისუფლად გამოსვლის უფლების შენარჩუნებაზე. მე ვფიქრობ, რომ ეს წინადადება არ არის სწორი და ამიტომ იგი არ უნდა მიიღოს ყრილობამ. სსრ კავშირი არის თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი კავშირი. სსრ კავშირიდან თავისუფლად გამოსვლის [illegible] მუხლის გამორიცხვა კონსტიტუციიდან [illegible] ამ კავშირის ნებაყოფლობითი ხასიათი. შეგვიძლიან თუ არა ჩვენ გადავდგათ ეს ნაბიჯი? მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან და არც უნდა გადავდგათ ეს ნაბიჯი. ამბობენ: სსრ კავშირში არ მოიპოვე-

დასასრული იხ. მე-3 გვ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენების დასასრული

ზი არცერთი რესპუბლიკა, რომელსაც სურდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა, ამის გამო მეჩვიდმეტე მუხლს არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენში რომ არ არსებობს არცერთი რესპუბლიკა, რომელსაც სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა სურდეს, ეს, რასაკვირველია, მართალია. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ ჩვენ არ უნდა ჩავწეროთ კონსტიტუციაში სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკათა თავისუფლად გამოსვლის უფლება. სსრ კავშირში აგრეთვე არ არსებობს ისეთი მოკავშირე რესპუბლიკა, რომელსაც სურდეს დასთრგუნოს მეორე მოკავშირე რესპუბლიკა. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციიდან გამორიცხულ უნდა იქნას მუხლი, რომელიც ლაპარაკობს მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების თანასწორობაზე.

3) შემდეგ არის წინადადება, კონსტიტუციის პროექტის მეორე თავი შევავსოთ ახალი მუხლით, რომლის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, როცა ისინი სამეურნეო და კულტურული განვითარების სათანადო დონეს მიაღწევენ, შეიძლება გარდაიქმნან მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად. შეიძლება თუ არა მივიღოთ ეს წინადადება? მე ვფიქრობ, რომ მისი მიღება საჭირო არ არის. იგი არ არის სწორი არა მარტო თავისი შინაარსის მხრივ, არამედ თავისი მოტივების მხრივაც. შეუძლებელია ავტონომიური რესპუბლიკების გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში მოტივირებულ იქნას მათი სამეურნეო და კულტურული მომწიფებით, ისევე როგორც შეუძლებელია მოტივირებულ იქნას ამა თუ იმ რესპუბლიკის დატოვება ავტონომიურ რესპუბლიკათა სიაში მისი სამეურნეო ან კულტურული ჩამორჩენილობით. ეს იქნებოდა არა მარქსისტული, არალენინური მიდგომა. მაგალითად, თათართა რესპუბლიკა რჩება ავტონომიური, ხოლო ყაზახთა რესპუბლიკა ხდება მოკავშირე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყაზახთა რესპუბლიკა კულტურული და სამეურნეო განვითარების თვალსაზრისით უფრო მაღლა დგას, ვიდრე თათართა რესპუბლიკა. საქმე სწორედ რომ, პირიქით არის. იგივე უნდა ითქვას, მაგალითად ვოლგის მხარის გერმანელთა ავტონომიურ რესპუბლიკაზე და ყირგიზთა მოკავშირე რესპუბლიკაზე, რომელთაგან პირველი კულტურული და სამეურნეო მხრივ უფრო მაღლა დგას, ვიდრე მეორე, თუმცა იგი ავტონომიურ რესპუბლიკად რჩება.

რომელია ის ნიშნები, რომელთა არსებობაც საფუძველს გვაძლევს გადავიყვანოთ ავტონომიური რესპუბლიკები მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში?

ისინი, ეს ნიშნები,—სამია.

ჯერ ერთი, საჭიროა, რომ რესპუბლიკა იყოს განაპირა, რომელიც ყოველმხრივ არ არის გარშემორტყმული სსრ კავშირის ტერიტორიით. რატომ? იმიტომ რომ, თუ მოკავშირე რესპუბლიკას რჩება სსრ კავშირიდან გამოსვლის უფლება, მაშინ საჭიროა ამ რესპუბლიკას, რომელიც მოკავშირე გახდა, საშუალება ჰქონდეს ლოგიკურად და ფაქტიურად დააყენოს სსრ კავშირიდან თავისი გამოსვლის საკითხი. ხოლო ასეთი საკითხის დაყენება შეუძლიან მხოლოდ ისეთ რესპუბლიკას, რომელიც, ვთქვათ, ესაზღვრება უცხოეთის რომელიმე სახელმწიფოს და, მაშასადამე, ყოველი მხრიდან არ არის გარშემორტყმული სსრ კავშირის ტერიტორიით. რასაკვირველია, ჩვენში არ არიან ისეთი რესპუბლიკები, ფაქტიურად რომ აყენებდნენ სსრ კავშირიდან გამოსვლის საკითხს. მაგრამ რაკი მოკავშირე რესპუბლიკას რჩება სსრ კავშირიდან გამოსვლის უფლება, მაშინ ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ ეს უფლება არ გადაიქცეს ფარატინა და უაზრო ქაღალდად. ავიღოთ, მაგალითად, ბაშკირეთის ან თათართა რესპუბლიკა. ვთქვათ, ეს ავტონომიური რესპუბლიკები გადავიყვანეთ მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში. შეეძლოთ თუ არა მათ ლოგიკურად და ფაქტიურად დაეყენებინათ სსრ კავშირიდან თავიანთი გამოსვლის საკითხი? არა, არ შეეძლოთ. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ყოველმხრივ გარშემორტყმული არიან საბჭოთა რესპუბლიკებით და ოლქებით და, კაცმა რომ სთქვას, მათ სსრ კავშირის შემადგენლობიდან არსად წასასვლელი აქვთ. (ხარხარი სიცილი, ტაში). ამიტომ ასეთი რესპუბლიკების გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში სწორი არ იქნებოდა.

მეორე მხრივ, საჭიროა, რომ ეროვნება, რომლის სახელიც საბჭოთა რესპუბლიკას ეწოდება, წარმოადგენდეს ამ რესპუბლიკაში ცოტად თუ ბევრად კომპაქტურ უმრავლესობას. მაგალითად, ავიღოთ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა, იგი არის განაპირა რესპუბლიკა, მაგრამ ყირიმელ თათრებს არა აქვთ უმრავლესობა ამ რესპუბლიკაში, პირიქით, — ისინი იქ უმცირესობას წარმოადგენენ. მაშასადამე, უსწორობა და ულოგიკობა იქნებოდა ყირიმის რესპუბლიკის გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში.

მესამე, საჭიროა, რომ რესპუბლიკა არ იყოს ძალიან პატარა თავისი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, რომ მას ჰყავდეს მოსახლეობა, ვთქვათ, არა ნაკლებ, არამედ მეტი თუნდაც ერთი მილიონისა. რატომ? იმიტომ რომ უსწორო იქნება იმის ფიქრი, თითქოს პატარა საბჭოთა რესპუბლიკას, რომელსაც მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობა და უმნიშვნელო ჯარი ჰყავს, შეეძლოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის იმედი. მგონი ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ იმპერიალისტური მტაცებლები სწრაფად ჩაიგდებდნენ მათ ხელში.

მე ვფიქრობ, რომ თუ ეს სამი ობიექტური ნიშანი არ არსებობს, სწორი არ იქნებოდა ამ ისტორიულ მომენტში დაგვეყენებინა ამა თუ იმ ავტონომიური რესპუბლიკის მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში გადაყვანის საკითხი.

4) შემდეგ წინადადება შემოაქვთ ამოვშალოთ მე-22, 23, 24, 25, 26, 27, 28, და 29 მუხლებში დაწვრილებითი ჩამოთვლა მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრატიულ-ტერიტორიული დაყოფისა მხარეებად და ოლქებად. მე ვფიქრობ, რომ ეს წინადადებაც მიუღებელია. სსრ კავშირში არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან დიდის ხალისით და დაუღალავად ხელახლა გამოსჭრან მხარეები და ოლქები და ამით არევდარევა და რწმენის უქონლობა შეიტანონ მუშაობაში. კონსტიტუციის პროექტი ასეთი ადამიანებისათვის ჰქმნის ლაგამს. და ეს ძალიან კარგია იმიტომ, რომ აქ, ისე როგორც სხვა ბევრ რამეში, ჩვენში საჭიროა რწმენის ატმოსფერო, საჭიროა სტაბილობა, სიცხადე.

5) მეხუთე შესწორება ეხება მე-33 მუხლს. მიზანშეუწონლად სთვლიან ორი პალატის შექმნას და წინადადებას იძლევიან მოისპოს ეროვნებათა საბჭო. მე მგონია, ეს შესწორებაც სწორი არ არის. ერთპალატიანი სისტემა ორპალატიანზე უკეთესი იქნებოდა, საბჭოთა კავშირი რომ ერთიან ნაციონალურ სახელმწიფოს წარმოადგენდეს. მაგრამ საბჭოთა კავშირი არ არის ერთიანი ნაციონალური სახელმწიფო. საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, არის მრავალეროვანი სახელმწიფო. ჩვენ გვაქვს უზენაესი ორგანო, სადაც წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის საერთო ინტერესები დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა. ეს არის კავშირის საბჭო. მაგრამ საბჭოთა კავშირის ეროვნებებს საერთო ინტერესების გარდა აქვთ კიდევ თავისი განსაკუთრებული, სპეციფიკური ინტერესები, რომლებიც დაკავშირებული არიან მათს ნაციონალურ თავისებურებებთან. შეიძლება თუ არა ამ სპეციფიკური ინტერესების უგულებელყოფა? არა, არ შეიძლება. საჭიროა თუ არა სპეციალური უზენაესი ორგანო, რომელიც სწორედ ამ სპეციფიკურ ინტერესებს ასახავდეს? უთუოდ საჭიროა. არავითარი ეჭვი არაა რომ ასეთი ორგანოს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოს მართვა, როგორიცაა საბჭოთა კავშირი. ასეთ ორგანოს წარმოადგენს მეორე პალატა, სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭო.

მიუთითებენ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოთა საპარლამენტო ისტორიაზე, მიუთითებენ იმაზე, რომ ორპალატიანმა სისტემამ ამ ქვეყნებში მხოლოდ მინუსები მოგვცა, რომ მეორე პალატა ჩვეულებრივ რეაქციის ცენტრად და წინსვლის საწინააღმდეგო მუხრუჭად გადაგვარდება. ყველაფერი ეს მართალია. მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ქვეყნებში პალატებს შორის არ არის თანასწორობა. როგორც ვიცით მეორე პალატას ხშირად მეტ უფლებებს აძლევენ, ვიდრე პირველს, და შემდეგ, როგორც წესი, მეორე პალატა ეწყობა არადემოკრატიული გზით, ხშირად მისი წევრების ზევიდან დანიშვნის გზით. უეჭველია, ეს მინუსები არ იქნება, თუ გავატარებთ თანასწორობას პალატებს შორის და მეორე პალატას მოვაწყობთ ისევე დემოკრატიულად, როგორც პირველს.

6) შემდეგ კონსტიტუციის პროექტისათვის იძლევიან დამატებას, რომელიც მოითხოვს ორთავე პალატის წევრთა რაოდენობის გათანასწორებას. მე ვფიქრობ, ამ წინადადების მიღება შეიძლებოდა. იგი გვაძლევს, ჩემის აზრით, აშკარა პოლიტიკურ პლიუსებს, რადგან ხაზს უსვამს პალატების თანასწორობას.

7) შემდეგ მიდის კონსტიტუციის პროექტის დამატება, რომლის ძალით წინადადებას იძლევიან იმგვარადვე აირჩიონ დეპუტატები ეროვნებათა საბჭოში, როგორც კავშირის საბჭოში, პირდაპირი არჩევნების გზით. მე ვფიქრობ, რომ ამ წინადადების მიღებაც შეიძლებოდა. მართალია, მას შეუძლიან ზოგიერთი ტექნიკური უხერხულობის შექმნა არჩევნების დროს. სამაგიეროდ იგი დიდ პოლიტიკურ მოგებას მოგვცემს, რადგან იგი ასწევს ეროვნებათა საბჭოს ავტორიტეტს.

8) შემდეგ მიდის მე-40 მუხლის დამატება, რომლის ძალით წინადადებას იძლევიან მივანიჭოთ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება გამოსცეს დროებითი საკანონმდებლო აქტები. მე ვფიქრობ, რომ ეს დამატება არ არის სწორი და არ უნდა მიიღოს ყრილობამ. ბოლოსდაბოლოს საჭიროა ბოლო მოეღოს იმ მდგომარეობას, როცა კანონმდებლობს არა ერთი რომელიმე ორგანო, არამედ მთელი რიგი ორგანოები. ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება კანონების სტაბილობის პრინციპს. ხოლო კანონების სტაბილობა ახლა უფრო მეტად გვჭირდება, ვიდრე ოდესმე. საკანონმდებლო ძალაუფლებას სსრ კავშირში უნდა ანხორციელებდეს მხოლოდ ერთი ორგანო, სსრ კავშირის უზენაესი საბჭო.

9) შემდეგ შემოაქვთ კონსტიტუციის პროექტის მე-48 მუხლის დამატება, რომლის ძალით მოითხოვენ, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე არჩეულ იქნას არა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ, არამედ ქვეყნის მთელი მოსახლეობის მიერ. მე ვფიქრობ, რომ ეს დამატება არაა სწორი, ვინაიდან იგი არ შეესაბამება ჩვენი კონსტიტუციის სულს. ჩვენი კონსტიტუციის სისტემით სსრ კავშირში არ უნდა იყოს ერთპიროვნული პრეზიდენტი, რომელსაც აირჩევს მთელი ხალხი, უზენაეს საბჭოს თანაბრად, და რომელსაც შეეძლება თავისთავი დაუპირისპიროს უზენაეს საბჭოს. საბჭოთა კავშირში პრეზიდენტი კოლეგიალურია, ეს არის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ჩათვლით, არჩეული არა მთელი მოსახლეობის, არამედ უზენაესი საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებული უზენაესი საბჭოს წინაშე. გამოცდილება და ისტორია გვიჩვენებს, რომ უზენაესი ორგანოების ასეთი აგება ყველაზე უფრო დემოკრატიულია და უზრუნველყოფს ქვეყანას არასასურველი შემთხვევებისაგან.

10) შემდეგ მიდის შესწორება იმავე მე-48 მუხლისათვის. იგი ასე იკითხება: გადიდდეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა თერთმეტამდე იმ ანგარიშით, რომ თვითეული მოკავშირე რესპუბლიკიდან იყოს ერთი მოადგილე. მე ვფიქრობ, რომ ამ შესწორების მიღება შეიძლებოდა, ვინაიდან იგი აუმჯობესებს საქმეს და შეუძლიან მხოლოდ განამტკიცოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ავტორიტეტი.

11) შემდეგ მიდის შესწორება მე-77 მუხლისათვის. იგი მოითხოვს მოეწყოს ახალი საერთო — საკავშირო სახალხო კომისარიატი, — თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატი. მე ვფიქრობ, რომ საჭირო იქნებოდა ამ შესწორების მიღებაც (ტაში), ვინაიდან მომწიფდა დრო იმისათვის, რომ გამოვყოთ ჩვენი თავდაცვის მრეწველობა და მოვცეთ მას სათანადო ფორმები საკავშირო სახალხო კომისარიატის სახით. მე მგონია, რომ ეს მხოლოდ გააუმჯობესებდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს.

12) შემდეგ მიდის კონსტიტუციის პროექტის ასოცდამეოთხე მუხლის შესწორება, რომელიც მოითხოვს ამ მუხლის შეცვლას იმ მიმართულებით, რომ აიკრძალოს რელიგიურ წესთა შესრულება. მე ვფიქრობ, რომ ეს შესწორება უარყოფილ უნდა იქნას, როგორც ჩვენი კონსტიტუციის სულის შეუსაბამო.

13) დასასრულ, კიდევ ერთი შესწორება, რომელსაც ცოტად თუ ბევრად არსებითი ხასიათი აქვს. მე ვლაპარაკობ შესწორებაზე კონსტიტუციის პროექტის ასოცდამესამე მუხლისათვის. იგი წინადადებას იძლევა ჩამოერთვას საარჩევნო უფლებები კულტის მსახურთ, ყოფილ თეთრგვარდიელთ, ყველა ყოფილ ადამიანსა და პირს, რომლებიც კი საერთო სასარგებლო შრომას არ ეწევიან, ანდა, ყოველ შემთხვევაში —შეიზღუდოს ამ კატეგორიის პირთა საარჩევნო უფლებანი,—მიენიჭოთ მათ მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება, ე. ი. უფლება აირჩიონ, მაგრამ არ იქნან არჩეული. მე ვფიქრობ, ეს შესწორებაც უარყოფილ უნდა იქნას. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა საარჩევნო უფლებანი არამშრომელ და ექსპლოატატორულ ელემენტებს არა უკუნითი უკუნისამდე, არამედ დროებით, განსაზღვრულ პერიოდამდე. იყო დრო, როცა ეს ელემენტები აშკარა ბრძოლას აწარმოებდნენ ხალხის წინააღმდეგ და წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა კანონებს. საბჭოთა კანონი მათი საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ იყო საბჭოთა ხელისუფლების პასუხი ამ წინააღმდეგობის გაწევაზე. მას შემდეგ ცოტა დრომ როდი განვლო. განვლილ პერიოდში ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ექსპლოატატორული კლასები მოსპობილი არიან, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება უძლეველ ძალად გადაიქცა. ხომ არ მოვიდა დრო გადაისინჯოს ეს კანონი? მე ვფიქრობ, რომ ეს დრო მოვიდა. ამბობენ, ეს საშიშია, რადგან ჩვენი ქვეყნის უზენაეს ორგანოებში შეიძლება გაძვრნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული ელემენტები, ზოგი ვინმე ყოფილი თეთრგვარდიელებიდან, კულაკებიდან, ხუცებიდან და ა. შ.; მაგრამ, კაცმა რომ სთქვას, რისა უნდა გვეშინოდეს აქ? „Волков бояться, в лес не ходить"*) (მხიარული გაცხოველება დარბაზში, მქუხარე ტაში). ჯერ ერთი, ყველა ყოფილი კულაკი, თეთრგვარდიელი თუ ხუცესი საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი არ არის. მეორე, ხალხმა კიდეც რომ აირჩიოს აქა-იქ მტრული ადამიანები, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ჩვენი საპროპაგანდო მუშაობა ძალიან ცუდად არის დაყენებული, და ჩვენ სავსებით დავიმსახურებთ ასეთ სირცხვილს, ხოლო თუ ჩვენი პროპაგანდისტული მუშაობა ბოლშევიკურად იწარმოებს, მაშინ ხალხი თავის უზენაეს ორგანოებში მტრულ ადამიანებს არ შეუშვებს. მაშასადამე, კი არ უნდა ვწუწუნოთ, არამედ უნდა ვიმუშაოთ (მქუხარე ტაში), უნდა ვიმუშაოთ და არა დაველოდოთ იმას, რომ ყველაფერი მზამზარეულად მოგვეცემა ადმინისტრატიულ განკარგულებათა წესით. ლენინი ჯერ კიდევ 1919 წელს ამბობდა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა საბჭოთა ხელისუფლება სასარგებლოდ მიიჩნევს შემოიღოს საყოველთაო საარჩევნო უფლება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მიაქციეთ ყურადღება: ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. იმას იგი ამბობდა მაშინ, როცა უცხოელთა სამხედრო ინტერვენცია ჯერ კიდევ ლიკვიდირებული არ იყო, ხოლო ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა სასოწარმკვეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მას შემდეგ უკვე თვრამეტმა წელმა განვლო. ხომ დრო არ არის, ამხანაგებო, შევასრულოთ ლენინის მითითება? მე ვფიქრობ, რომ დროა.

აი რას ამბობდა ლენინი 1919 წელს თავის შრომაში „რკპ (ბ) პროგრამის პროექტი". ნება მომეცით წავიკითხოთ:

„რკპ უნდა განუმარტავდეს მშრომელ მასებს, წარმავალ ისტორიულ საჭიროებათა არასწორი განზოგადების თავიდან ასაცილებლად, რომ მოქალაქეთა ნაწილისათვის საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევა სრულიადაც არ ეხება საბჭოთა რესპუბლიკაში, როგორც ეს ხდებოდა უმეტეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკებში, მოქალაქეთა განსაზღვრულ კატეგორიას, რომელნიც სამუდამოდ უუფლებოდ ცხადდებიან, არამედ ეხება მხოლოდ ექსპლოატატორებს, მხოლოდ იმათ, ვინც წინააღმდეგ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონებისა ჯიუტობს თავისი ექსპლოატატორული მდგომარეობის დაცვაში, კაპიტალისტურ ურთიერთობათა შენარჩუნებაში. მაშასადამე, საბჭოთა რესპუბლიკაში, ერთის მხრივ, სოციალიზმის ყოველდღიური განმტკიცებისა და იმათი რიცხვის შემცირებასთან ერთად, ვისაც ობიექტურად შესაძლებლობა აქვს დარჩეს ექსპლოატატორად, ან შეინარჩუნოს კაპიტალისტური ურთიერთობანი, თავისთავად მცირდება საარჩევნო უფლებაჩამორთმეულთა პროცენტი. არა გვგონია ახლა რუსეთში ეს პროცენტი ორ, სამ პროცენტზე მეტი იყოს. მეორე მხრივ, სულ ახლო მომავალში საგარეო შემოსევის შეწყვეტასა და ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის დამთავრებას შეუძლიან, გარკვეულ პირობებში, შექმნას ისეთი მდგომარეობა, როცა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება აირჩევს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის სხვა ხერხებს და შემოიღებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე". (ლენინი, ტ. XXIV, გვ. 94 პარტგამომცემლობის გამოცემა. 1935 წელი).

მგონი ნათელია.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტისათვის შესწორებათა და დამატებათა მხრივ.

---

*) მგლებისა გეშინიან — ტყეში ნუ წახვალ. რედ.

## VI

## სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მნიშვნელობა

თუ ვიმსჯელებთ საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგთა მიხედვით, რომელიც თითქმის ხუთ თვეს გრძელდებოდა, შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ კონსტიტუციის პროექტი ამ ყრილობის მიერ მოწონებული იქნება (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. დარბაზი ფეხზე დგება).

რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა კავშირს ექნება ახალი, სოციალისტური კონსტიტუცია, აგებული გაშლილი სოციალისტური დემოკრატიზმის საფუძვლებზე.

ეს იქნება ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მარტივად და სხარტად, თითქმის ოქმის სტილით ლაპარაკობს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტებზე, კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების ფაქტებზე, სსრ კავშირში გაშლილი, ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატიის გამარჯვების ფაქტებზე.

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაზედაც ოცნებობდნენ და განაგრძობენ ოცნებას მილიონობით პატიოსანი ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში, უკვე განხორციელებულია სსრ კავშირში (მქუხარე ტაში).

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, სავსებით შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიაც (მქუხარე ტაში).

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ არაგვგონია შეიძლებოდეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება.

ახლა, როცა ფაშიზმის მღვრიე ტალღა [illegible] მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობას და ტალახში სვრის ცივილიზებული მსოფლიოს საუკეთესო ადამიანთა დემოკრატიულ მისწრაფებებს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია იქნება საბრალმდებლო აქტი ფაშიზმის წინააღმდეგ, აქტი, რომელიც ლაპარაკობს იმაზე, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველი არიან. (ტაში). სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მორალური დახმარება და რეალური საყრდენი იქნება ყველა იმათთვის, ვინც ახლა ბრძოლას აწარმოებს ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ (მქუხარე ტაში).

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას სსრ კავშირის ხალხთათვის. თუ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთათვის სსრ კავშირის კონსტიტუციას მოქმედებათა პროგრამის მნიშვნელობა ექნება, სსრ კავშირის ხალხთათვის მას აქვს მათი ბრძოლის შეჯამების, კაცობრიობის განთავისუფლების ფრონტზე მათ გამარჯვებათა შეჯამების მნიშვნელობა. ბრძოლისა და გაჭირვების განვლილი გზის შედეგად სასიამოვნო და სასიხარულოა გვქონდეს ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს გამარჯვებათა ნაყოფზე ლაპარაკობს. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი ადამიანები და როგორ მიაღწიეს მათ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავისი შედეგები მოგვცა (ხანგრძლივი ტაში). ეს სულიერად აიარაღებს ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენს გლეხობას, ჩვენს მშრომელ ინტელიგენციას. ეს წინ გვამოძრავებს და გვიმაღლებს კანონიერი სიამაყის გრძნობას. ეს განამტკიცებს რწმენას საკუთარი ძალებისადმი და გვრაზმავს ახალი ბრძოლისათვის კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. (მქუხარე ოვაცია, მთელი დარბაზი ფეხზე დგება, მჭექარე „ვაშა", საერთო შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!" ყრილობა ფეხზე ამდგარი მღერის „ინტერნაციონალს". „ინტერნაციონალის" შესრულების შემდეგ ოვაცია ახლდება. შეძახილები „ვაშა", „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს ამხანაგ სტალინს!").

# საბჭოების VIII საგანგებო ყრილობა

## ყრილობის დარბაზში

ყრილობის 26 ნოემბრის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხანაგ სტალინის მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების ირგვლივ.

ჯერ კიდევ სხდომის გახსნამდე კულუარებსა და დარბაზში ყრილობის დელეგატები ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებას გუშინდელ დაუვიწყარ დღეზე, როცა ხალხის რჩეულნი და მათთან ერთად მთელი ქვეყანა ისმენდნენ სტალინის მიერ კონსტიტუციის პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების შესანიშნავ სიტყვებს. მხიარული, აღფრთოვანებული განწყობილება არ სტოვებს დელეგატებს. ათობით ენასა და კილოკავებზე მეორდება სიტყვები: „სტალინური კონსტიტუცია".

აი დარბაზში სწყდება ზარის გუგუნი, მყისვე ყველა ფეხზე დგება და მქუხარედ ესალმებიან პრეზიდიუმში გამოჩენილთ: ამხანაგებს სტალინს, კალინინს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, ორჯონიკიძეს, ანდრეევს, მიქოიანს, ჩუბარს, ჟდანოვს, ეჟოვს, რუძუტაკს, პეტროვსკის, ლიტვინოვს, [illegible], ჩერვიაკოვს, აკულოვს და ბუდიონის. ყოველი მხრიდან გაისმის შეძახილები: „ვაშა სტალინს", „გაუმარჯოს მშობლიურ, საყვარელ სტალინს", „გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას".

ყრილობის სხდომას ხსნის ამხ. კალინინი, რომელიც სიტყვას აძლევს უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლიუბჩენკოს. ყრილობის დელეგატები მას [illegible] ტაშით ხვდებიან.

ერთ საათზე მეტხანს ლაპარაკობს ამხ. ლიუბჩენკო. მის სიტყვას, რომელიც მიძღვნილია უკრაინის ხალხის შესანიშნავი გამარჯვებებისადმი, დაძაბული ყურადღებით ისმენენ და ხშირად ტაშით აწყვეტინებენ.

ამხ. ლიუბჩენკო იგონებს მძიმე დღეებს უკრაინელი ხალხის ისტორიაში, იმ დროს, როცა უკრაინაში გერმანელი ოკუპანტები [illegible], როცა დირექტორია და პეტლიურა ცდილობდნენ ნაწილ-ნაწილად გაეყიდათ იგი, როცა ცდილობდნენ იგი პოლონეთის კოლონიად გადაექციათ.

ეს მძიმე წლები დიდიხანია უკან დარჩა. საბჭოების ყრილობას უკრაინა ხვდება როგორც ძლიერი სახელმწიფო, როგორც ქვანახშირის, ლითონის, მანქანათმშენებლობის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ქვეყანა, როგორც მაღალი კულტურის, ლენინ-სტალინის ხაზის ბოლომდე ერთგულ ადამიანთა ქვეყანა.

მქუხარე ტაშით ხვდებიან დელეგატები ამხ. ლიუბჩენკოს განცხადებას, რომ საბჭოთა უკრაინა, წარმოადგენს რა სსრ კავშირის განუყრელ შემადგენელ ნაწილს, [illegible] საბჭოთა კავშირის საერთო [illegible], რომ საბჭოთა უკრაინა სოციალიზმის ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად მზად არის სავსებით მომზადებული შეხვდეს ყოველ მტერს და [illegible] პასუხი გასცეს მას.

მის შემდეგ ტრიბუნაზე ადის ყუბანელი ყაზახი ორდენოსანი კომბაინერი ამხ. ბორინი. იგი დონისა და ყუბანის ყაზახებისა და ყაზახი ქალებისაგან მგზნებარე სალამს გადასცემს ყრილობას და ამხანაგ სტალინს. ამხ. ბორინი ლაპარაკობს ახალ კონსტიტუციაზე, საბჭოთა დემოკრატიაზე, საბჭოთა კავშირში უდიდეს მზრუნველობაზე ადამიანის მიმართ.

შემდეგ გამოდის ქარხანა „შარიკოპოდშიპნიკის" (მოსკოვი) ორდენოსანი ინჟინერი ამხ. [illegible].

მრავალეროვანი ყირიმის [illegible] სამეურნეო - პოლიტიკური წარმატებებმა თავისი ნათელი გამოხატულება ჰპოვა ყირიმის ავტ. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. სამედინოვის გამოსვლაში.

მაგნიტოგორსკის მეტალურგიული ქარხნის 62 წლის მოხუცი ორდენოსანი სტახანოველი ამხ. ზუევი მადლობის [illegible] სიტყვებით მიმართავს დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს ბედნიერი სამუშაო ცხოვრებისათვის. ყრილობა მქუხარე ტაშით ხვდება ამხ. ზუევის [illegible], რომ მთელი საბჭოთა ხალხი მზად არის თავისი მშვენიერი სოციალისტური სამშობლო [illegible].

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვას მიეძღვნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მომუშავე [illegible] დასავლეთ — ციმბირის სამხარეო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გრიადინსკის გამოსვლა.

— მე, — ამბობს შემდეგ ტაშის გრიალში ლენინგრადის ფეხსაცმელის ფაბრიკის „სკოროხოდის" ორდენოსანი სტახანოველი ამხ. სმეტანინი, — მუშა კაცი, რომელსაც უფლება მაქვს თავისუფლად ვილაპარაკო ყოველ კრებაზე, ამ ტრიბუნიდან ვაცხადებ: ყველაფერი, რაც ახალ კონსტიტუციაში ჩაწერილია, ეს — დაპირება კი არ არის, არამედ ფაქტია. ფაქტი, მოპოვებული დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით. ჩვენს ქვეყანაში არის შრომის უფლება, განათლების უფლება, დასვენების უფლება, და მე სიამაყის გრძნობით ხმას ვაძლევ სტალინურ კონსტიტუციას.

ყირგიზეთის რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ისაკეევი თავის სიტყვას უძღვნის უდიდეს სამეურნეო - პოლიტიკურ გამარჯვებებს და კულტურულ [illegible], რომელთაც ყირგიზეთმა მიაღწია მოკავშირე რესპუბლიკად გადაქცევამდე. იგი მადლობას უძღვნის [illegible] რუს ხალხს ძმური დახმარებისათვის, რომელსაც ყოველთვის უწევდნენ ყირგიზ ხალხს. ამხ. ისაკეევი ტაშის გრიალში პირობას აძლევს ყრილობას, რომ ყირგიზეთის მშრომელნი საჭიროების შემთხვევაში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავენ თავიანთ მშვენიერი სოციალისტური სამშობლოს საზღვრების ხელშეუხებლობას და საბჭოთა კავშირის ხალხთა დამოუკიდებლობას.

დილის სხდომაზე უკანასკნელი [illegible] ლაპარაკობს კოლმეურნე — ბრიგადირი ამხ. რახმატოვი (უზბეკეთა სსრ-ის ნამანგანის რაიონი), რომელმაც წელს ჰექტარზე 105 ცენტნერი ბამბა მოიყვანა (საქტასი).

# მოსკოვის ათიათასობით მშრომელნი ისმენდნენ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოხსენებას

**მოსკოვი**, 25 ნოემბერი (საქტასი). საბჭოთა მე-8 საგანგებო ყრილობის გახსნის წინა საათებში კუიბიშევის სახელობის ელექტროკომბინატის მუშებმა დაიკავეს ადგილები კლუბებში, წითელ კუთხეებში, კაბინეტებსა და სასადილოებში. 9 ათასმა კაცმა მოიყარა თავი რადიომიმღებებთან და რეპროდუქტორებთან, რათა მოესმინათ ხალხთა დიდი ბელადის ახალი კონსტიტუციის გენიალური შემოქმედის—ამხანაგ სტალინის მოხსენება. კომბინატის ისმაილოვის უბანზე და ჩერკიზოვის [illegible] მუშათა ბინებში რადიოწერტილებთან 1.500 ოჯახი შეიკრიბა. მიმღებლების წინ მაგიდებზე აწყვია ბლოკნოტები და ფანქრები. ყველა ემზადება გულდასმით მოისმინოს და ჩაიწეროს ისტორიული მოხსენება.

5 საათია. იწყება რადიოგადაცემა კრემლიდან. ამ წუთიდან ელექტროკომბინატის მრავალათასიანი კოლექტივი ისმენს თითოეულ სიტყვას ყრილობიდან. როდესაც კრემლში ყრილობის დელეგატები დაუსრულებელ ოვაციებს [illegible] საყვარელ ბელადს პატივსაცემად და დელეგატები „ინტერნაციონალს" მღერიან, [illegible] ელექტროკომბინატელი [illegible] პროლეტარულ ჰიმნს და „ინტერნაციონალის" ძლიერი ხმები [illegible] კომბინატს ყველა კუთხეში.

ამხანაგი კალინინი მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს ამხანაგ სტალინს. რადიომიმღებებთან შეკრებილი მუშები ფეხზე დგებიან და ყრილობის დელეგატებთან ერთად მხურვალედ და ხანგრძლივ [illegible] ჩვენი [illegible] ბელადს.

— გაუმარჯოს ახალი კონსტიტუციის შემოქმედს! — გაისმის შეძახილები და ახალი ძალით გრიალებს ტაში.

ლაპარაკობს ამხანაგი სტალინი. ყრილობის დელეგატთა ოვაციებთან ხმაშეწყობილად გრიალებს [illegible] ტაში, როდესაც ამხანაგი სტალინი ლაპარაკობს სოციალიზმის [illegible] გამარჯვებებზე ჩვენს ქვეყანაში. მხიარული ხარხარი [illegible], როდესაც ამხანაგი სტალინი [illegible] დასცინის ახალი კონსტიტუციის ბურჟუაზიულ კრიტიკოსებს.

მოხსენება დამთავრდა. კომბინატის [illegible] კვლავ გაისმის „ინტერნაციონალის" ხმები. მთელ რიგ ადგილებში იმართება მიტინგები. [illegible] ელექტრომოწყობილობის ქარხნის მუშები, [illegible] სტახანოველები. [illegible] უზიარებენ კრებას თავის შთაბეჭდილებებს დიდი ბელადისა და მასწავლებლის ისტორიული მოხსენების შესახებ.

[illegible] სახელობის ელექტროკომბინატის მრავალათასიანმა კოლექტივმა თავის მრავალრიცხოვან მიტინგებზე მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

◆ ◆ ◆

# უცხოეთის პრესის გამოხმაურება ამხანაგ სტალინის მოხსენებაზე

**ლონდონი**, 26 ნოემბერი (საქტასი). ინგლისის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას მოათავსეს ცნობები საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მოხსენების შესახებ. გაზეთებმა გამოაქვეყნეს მოსკოვიდან მიღებული ცნობები ვრცელი ციტატებით მოხსენებიდან და აღნიშნავენ, რომ ტრიბუნაზე ამხანაგ სტალინის გამოჩენას და მისი მოხსენების საბოლოო სიტყვებს მთელი დარბაზი ხანგრძლივი, მქუხარე ოვაციებით შეეგება. გაზეთების ცნობით, ამხანაგ სტალინის მოხსენებას ინგლისშიაც ისმენდნენ რადიოთი.

„ტაიმსი" სარედაქციო სტატიაში, რომელიც მიძღვნილია გერმანია-იაპონიის შეთანხმებისადმი, ეხება აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს და ამასთან აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი „ჰყვავის და ძლიერია".

„დეილი ექსპრესი" ათავსებს ამხანაგ სტალინის ფოტოსურათს და მოჰყავს ამხანაგ სტალინის მოსწრებული შენიშვნები ახალი კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიულ კრიტიკოსთა მიმართ. „დეილი ექსპრესი" სარედაქციო სტატიაში სწერს, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია ხელს შეუწყობს კეთილმეზობლური დამოკიდებულების განვითარებას სსრ კავშირისა და ყველა დემოკრატიულ ქვეყანას შორის.

◆

**სტოკჰოლმი**, 26 ნოემბერი (საქტასი). შვეციის მთელი პრესა აქვეყნებს ცნობას საბჭოების საგანგებო ყრილობის გახსნისა და ამხანაგ სტალინის მოხსენების შესახებ. „სვენსკა დაგბლადეტი" სათაურით „სსრ კავშირში ყველას შეუძლია მიიღოს პური და სამუშაო" ათავსებს დაწვრილებით ცნობას ყრილობის გახსნის შესახებ. გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ხანგრძლივ და მქუხარე ოვაციას, რომლითაც ყრილობა ამხანაგ სტალინს შეეგება. კორესპონდენტს მოჰყავს ამხანაგ სტალინის მოხსენების შინაარსი და დაწვრილებით ჩერდება სოციალისტური მშენებლობის წარმატებებზე. მოხსენების შემდგომ გამოცემაში გაზეთი ქვესათაურებში აღნიშნავს: „ყოველ ქვეყანას შეუძლია შენატროდეს საბჭოთა კავშირს", „საბჭოები—ერთადერთი ნამდვილი დემოკრატიაა". „გერმანიის ფაშისტები შედარებული არიან თავისთავზე შეყვარებულ თავნებებთან". „საბჭოთა კავშირი ამჟამად უძლეველია".

# ლაპარაკობენ საქართველოს დელეგატები

(მოსკოვი, ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

### ამხ. ლორია

ფერო-ქარხნის სტახანოველი მუშა

— დღევანდელი დღე ყველაზე ბედნიერი და დაუვიწყარია ჩემს ცხოვრებაში, მე ვნახე დიდი, საყვარელი სტალინი და მოვისმინე მისი მოხსენება. უდიდესი მღელვარებით [illegible] თვითეულ სიტყვას, [illegible] იმ შეგნებით, რომ ვმონაწილეობ ჩვენი ქვეყნის უდიდესი დოკუმენტის — სტალინური კონსტიტუციის განხილვაში. [illegible] ყრილობაზე ჩემი [illegible] მუშაობისათვის და [illegible], რომ ვმონაწილეობ მის მუშაობაში. ჩვენმა ქარხანამ იკისრა ვალდებულება შეასრულოს წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის. ამ [illegible] ყრილობაზე მიღებულ [illegible] შევინახავ სამუდამოდ და მთელ ჩემ სიცოცხლეში იგი დამრჩება დღევანდელი ბრწყინვალე დღის დიად მოგონებად.

### ამხ. ნიკლაური

თბილისის დეპოს ორდენოსანი მუშა

— უდიდესი ძალით, დამაჯერებლობით გაისმოდა ამხანაგ სტალინის სიტყვა, როცა იგი ლაპარაკობდა იმ ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა ჩვენში უკანასკნელი 12 წლის მანძილზე. კონსტიტუციის პროექტში ცხადლივ ასახულია [illegible] ჩვენი მონაპოვარნი და ის დიდი ძვრანი, რომლებიც მოხდა ეკონომიკაში, საზოგადოებრივ [illegible]. [illegible] ამხანაგ სტალინის სიტყვები [illegible] კონსტიტუცია ახდენს [illegible] კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მისაღწევად და როდესაც დარბაზში [illegible] მისასალმებელი [illegible], მე [illegible] „ვაშას" [illegible] შევუერთდი დარბაზში გამეფებულ აღფრთოვანებას და „ვაშა" ძახილს.

ვაშა, დიდ სტალინს! ვაშა, სტალინურ კონსტიტუციას!

### ამხ. თ. როსტომაშვილი

თამბაქოს ფაბრიკის ორდენოსანი მუშა

— მე მოლოდ 31 წლისა ვარ და აქედან 20 წელიწადი თამბაქოს ფაბრიკაში ვმუშაობ. ჩემი შრომა დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამ შრომისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ დამაჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით, რომელიც მე [illegible] ამხ. სტალინის თანდასწრებით. მე მაშინ მაგრად ჩამოვართვი ხელი დიდ სტალინს და მივეცი სიტყვა, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესებდი ჩემს მუშაობას, ახლა შემიძლია ამაყად განვაცხადო: ამ ისტორიული ყრილობის გახსნისათვის ჩემი სიტყვა შევასრულე. უდიდესი ყურადღებით ვისმენდი საყვარელი ბელადის დამაჯერებელსა და კრისტალივით ნათელ სიტყვას.

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ამ [illegible] ადამიანთა შორის, რომლებიც წარმოგზავნილნი არიან ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან, მეც ვმონაწილეობ მშრომელი ხალხის დიადი ქარტიის განხილვაში. როდესაც სტალინი ამთავრებდა სიტყვას [illegible] მოხსენების დასკვნით ნაწილში მისი საბოლოო სიტყვები დაეხურა ოვაციების გრიგალმა. სულითა და გულით შევუერთე ჩემი აღფრთოვანება საერთო აღფრთოვანებას, მიმართულს ჩვენი ბელადისადმი.

### ამხ. სიხარულიძე

([illegible])

— მეორე ყრილობაზე გაკეთებულ ისტორიულ მოხსენებაში საყვარელმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა [illegible] ახალი კონსტიტუცია [illegible]. [illegible] ამხანაგ სტალინის სიტყვას [illegible] ჩემი თავი კიდევ უფრო [illegible] საკუთარი პოლიტიკური განვითარების [illegible] ჩემი სამშობლოს [illegible] და მუდამ მზად ვიყო ჩვენი დიადი სამშობლოს დასაცავად, ამ სამშობლოს დასაცავად, რომელიც ახლა ღებულობს მშრომელი ხალხის უფლებათა და თავისუფლებათა კონსტიტუციას.

### ამხ. ვ. სამხარაძე

ჭიათურის ორდენოსანი მაღაროელი

— დღეს მესამედ ვნახე ამხანაგი სტალინი. მასთან შეხვედრას მე [illegible] განსაკუთრებულად განვიცდი. [illegible] შემდეგ [illegible] ვგრძნობ. ეს შეხვედრები ჩემზე გავლენას ახდენს იმ მხრივ, რომ [illegible] შრომითი ენთუზიაზმი, [illegible] როდესაც მე, ხალხთა საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად ვმონაწილეობ სტალინური კონსტიტუციის, ამ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტის, განხილვაში. ეს დოკუმენტი—ახალი სტალინური კონსტიტუცია, აცხადებს იმას, რაზედაც ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები, რაზედაც ოცნებობენ ახლაც მილიონობით ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში. სტალინური კონსტიტუცია [illegible].

### ანას. კეპოვანი

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მქსოველი მუშა

— [illegible] როგორც სთქვა ამხანაგმა სტალინმა, საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია [illegible] მუშათა კლასის ყველა [illegible] სახელოვანი სტალინური [illegible] ჩემს [illegible] რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერებით, ჩემი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ. რა კარგია, რა ბედნიერებაა, იცხოვრო იმ ქვეყანაში, რომელსაც აქვს ასეთი კონსტიტუცია!

# რამის აღების გეგმა შევასრულეთ

### საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. ლ. ბერიას.

აგროკულტურულ ღონისძიებათა უკეთ გატარებით წელს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში რამის ნედლი ღერო აღებულ იქნა სამჯერ, სულ 1.259 ტონა (გეგმა შესრულებულია 115,5 პროცენტით). აქედან საკოლმეურნეო სექტორში აღებულია 980 ტონა ნედლი ღერო, ანუ 109,6 პროც. ტეხურის რამის საბჭოთა მეურნეობაში 278 ტონა (გეგმა შესრულებულია 149,4 პროც.).

რამის კულტურის განვითარების საქმეში საუკეთესოდ იბრძვის ძველი ღერო, ანუ 178,7 პროც. სოფ. ხელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ჯანჯღავა). ამ კოლმეურნეობამ აიღო 104,6 ტონა ნედლი ღერო, ანუ 178,7 პროც. სოფ. ნოსირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. თოდორაძე) გეგმა შეასრულა 161,4 პროც. აიღო 151 ტონა ნედლი ღერო. აგრეთვე წარმატებით იბრძვის ახალსოფლის ამხ. მუშიშვილის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. სალიქაძე), რომელმაც გეგმა შეასრულა 122,4 პროცენტით.

მარტო რამის კულტურიდან წელს კოლმეურნეობებმა მიიღოს 161.088 მანეთი. სოფ. ნოსირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ რამის ნედლი ღეროს ჩაბარებიდან მიიღო 28.690 მანეთი. ძველი-სენაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ 19.760 მან., ხოლო მუშიშვილის სახელობისამ — 10.450 მანეთი.

რამის თვითეული კოლმეურნეობისათვის დასახულია ამ კულტურის მოსავლიანობის შემდგომი გადიდების ღონისძიებანი.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი **ი. ბეჟვაია.**

რაიაღმასკომის თავმჯდომარე **ონ. ოჩიგავა.**

# მანდარინის დამზადება

### საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს, ამხ. ლ. ბერიას

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმზე მოცემული თქვენი მითითებების რეალიზაციის შედეგად ფოთის ბოლშევიკებმა გადაჭარბებით შეასრულეს ამ რაიონისათვის დაწესებული მანდარინის დამზადების სახელმწიფო გეგმა. ჩაბარებულია 1 მილიონი და 70 ათასი ცალი ნაყოფი, წონით 53,5 ტონა. აქედან პირველი ხარისხისა — 27 ტონა, მეორისა — 18 ტონა. გეგმით კი გათვალისწინებული იყო 860 ათასი ცალის დამზადება, წონით 43 ტონისა. გეგმა შესრულებულია 123 პროცენტით.

დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი
**ლ. ჯანჯღავა**

# დაპირება შესრულებულია

ამხ. ნ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტის" მუშათა კოლექტივმა, სტახანოველებმა და დამკვრელებმა პარტიისა და ხელისუფლებისათვის მიცემული სიტყვა საბჭოების VIII ყრილობის გახსნის დღისათვის წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ ბოლშევიკურად შეასრულეს. 23 ნოემბრისათვის საწარმოო-საფინანსო გეგმა 1.386.400 მან. საერთო პროდუქციის რაოდენობით შესრულებულ იქნა 100 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 18,1 პროცენტით, თვითღირებულება შემცირებულია გეგმის მიხედვით. პროდუქციის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა.

გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით თავი ისახელეს სტახანოველებმა ამხ. ი. ნადარეიშვილმა, მ. აბაიშვილმა, გ. ბლიაძემ, ვ. სხირტლაძემ, მ. ნაცვლიშვილმა, ი. იკოფოვამ, შ. ურუშაძემ, გ. ზაქარეიშვილმა.

სტამბის მუშათა კოლექტივი სიტყვას იძლევა წლის ბოლომდე გეგმის ზევით ქვეყანას მისცეს 150.000 მანეთის პროდუქცია.

დირექტორი **ქმინტრაძე**
პარტკომის მდივანი **ზარსევანიძე**
ქარხკომი **ჯაბადარი**

◇ ◇ ◇

# მზრალად ხვნა

### (მიწსახკომის 20 ნოემბრის ცნობებით)

| რაიონების დასახელება | მოხნულია ჰექტრობით | გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|
| ახალქალაქი | 7.277 | 31 |
| ბოგდანოვკა | 5.023 | 54,6 |
| ახალციხე | 4.685 | 66,9 |
| ადიგენი | 1.113 | 44,5 |
| ასპინძა | 2.319 | 92,8 |
| ხაშური | 13.522 | 61,5 |
| გორი | 2.737 | 17,3 |
| კასპი | 1.986 | 23,9 |
| ბორჯომი | 782 | 101,6 |
| გურჯაანი | 1.890 | 20,2 |
| სიღნაღი | 4.541 | 20,5 |
| თელავი | 3.297 | 29,4 |
| ყვარელი | 266 | 6,5 |
| ლაგოდეხი | 2.312 | 35 |
| თბილისი | 903 | 10,8 |
| ყარაია | 409 | 14,2 |
| ბორჩალო | 705 | 10,6 |
| ლუქსემბურგი | 1.186 | 37,1 |
| წალკა | 3.354 | 26,8 |
| დუშეთი | 1.281 | 29,8 |
| [illegible] | 2.360 | 37,5 |
| საგარეჯო | 238 | 2,5 |
| ბაშკიჩეთი | 760 | 16,9 |
| თიანეთი | 1.568 | 34,1 |
| სამხრეთ-ოსეთის ავ. ოლქი | 5.976 | 38,8 |
| ქუთაისი | 1.372 | 12,5 |
| სამტრედია | 252 | 42 |
| წულუკიძე | 252 | 14 |
| ვანი | 338 | 16,1 |
| ჭიათურა | 580 | 23,2 |
| ონი | 25 | 8,3 |
| ამბროლაური | 597 | 59,7 |
| ცაგერი | 53 | 17,7 |
| ცხაკაია | 513 | 39,5 |
| მარტვილი | 45 | 3 |
| აჭარა | 43 | 14,3 |
| სულ | 74.580 | 28,6 |

გურჯაანის, ბაშკიჩეთის, თიანეთის, ქუთაისის, წულუკიძის, ვანის, ჭიათურის რაიონებისა და აჭარის ცნობები მზრალად ხვნის შესახებ 15 ნოემბრისაა, მარტვილის —10 ნოემბრის, ცაგერის — 5 ნ.

◇ ◇ ◇

# ჩვენ გვწერენ

### უნდა მოწესრიგდეს.

ტრამვაის №5 მარშრუტით მოძრაობა მოუწესრიგებელია. ამ მარშრუტის მომსახურებისათვის თბილისის ტრამვაის ტრესტს გამოშვებული ჰყავს 8 ვაგონი, მაგრამ ვაგონების უწესრიგოდ მოძრაობის შედეგად ვაკის მცხოვრებთ ხშირად ფეხით უხდებათ ქალაქში სიარული. საქმე ის არის, რომ ამ ვაგონების მოძრაობას მეთვალყურეობას არავინ უწევს და ისინიც ერთად დაიარებიან, ჯგუფ-ჯგუფად, თითქო ცალკე სიარულისა ეშინიათო. ხშირად ერთ ვაგონს მეორე ნახევრად ცარიელი მისდევს, შემდეგ კი მგზავრებს დიდხანს უხდებათ ვაგონთა შემდეგი ჯგუფის ლოდინი. თბილისის ქალაქის რკინიგზის ტრესტმა ეს ნაკლი უნდა გამოასწოროს.

**ვ. ზურგინიძე.**

### უწესრიგობანი კინო „დამკვრელში"

კინო „დამკვრელში" მრავალ უწესობებს შევხვდებით. სკამები დამტვრეულია და საზარლად ჭრიჭინებს. ზოგი ადგილები დაუნომრავია და რიგები სწორად არ სდგას, ასე რომ მაყურებელს არ შეუძლია თავისუფლად დაჯდეს. ამ ნაკლოვანებათა გამო მაყურებელნი უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ, მაგალითად, 26 ოქტომბერს.

პირველი რიგის სკამები წაფერდებულად დგას და ჯდომა ძნელია, თუ სკამს ხელი არ ჩასჭიდეთ, უეჭველად დაეცემით.

წესრიგის დაცვას ნაკლები ყურადღება ექცევა. იმავე 26 ოქტომბერს მეორე სეანსის დამთავრების შემდეგ ხალხს გამოსვლა არ აცალეს, ისე შეუშვეს მაყურებლები; ამან უწესრიგობა გამოიწვია და მესამე სეანსის დაწყება დააგვიანა.

კინო „დამკვრელის" ადმინისტრაციამ უნდა გამოასწოროს ეს ნაკლოვანებანი.

**ნოზაძე.**

# რაიონებში

### მუშაობა არ გარდაუქმნიათ

ხონის რაიონის სოფ. წიფნარის კოლმეურნეობაში მუშაობა ჯეროვნად არ გარდაუქმნიათ ამხ. ლ. ბერიას მითითების მიხედვით. საკარმიდამო მიწების მოწყობა ჯერაც დაუმთავრებელია. დარღვეულია საკოლმეურნეო დემოკრატია. გამგეობა მნიშვნელოვან საკითხებს საერთო კრების დაუკითხავად სწყვეტს. სარევიზიო კომისია უმოქმედოდ არის.

**არ. მეფარიშვილი**

### ტრაქტორისტებს მეტი ყურადღება

ბაშკიჩეთის მტს-ის დირექცია სათანადო ყურადღებას არ აქცევს ტრაქტორისტთა საყოფაცხოვრებო პირობებს. გარდა ამისა, ტრაქტორისტებს მინდვრად მუშაობისას შეუფერხებლივ არ ამარაგებენ საწვავ-საცხები მასალით და სათანადო ნაწილებით.

**ი. ცხვიბაროვი**

### [illegible]

ხაშურის რაიონის სოფ. [illegible] კოლმეურნეობამ [illegible] ჭარხლის აღება დაამთავრა. მოსავალი კარგია. სოფ. ბერძნულის და ფცის კოლმეურნეობებში კი როდი არის ჭარხლის აღების [illegible] დაინაკარგება.

**არ. წულეისკირი**

### მშრომელთა სუფრას მაღალი ხარისხის ღვინო

გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში დაბინავებულია მაგარი და სადესერტო ღვინოები: პორტვეინი, მადერა, საამო, კაგორი, ლაბლაბი, წითელი.

ღვინის დამზადებაში განსაკუთრებული აღება [illegible] სამტრესტის კარდანახის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობა.

წელს აქ დიდი მუშაობა ჩატარდა როგორც მარნისა და სარდაფების, ისე მთელი მეურნეობის კეთილმოსაწყობად. მეურნეობა ენერგიულად იბრძვის ამხ. ლ. ბერიას მითითებათა ურყევად განხორციელებისა და მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

იგი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული გარეჯის საბჭოთა მეურნეობასთან.

**ტუხაშვილი**

### 49 ცენტნერი სიმინდი ჰექტარზე

ახმეტის რაიონის სოფ. ლოგინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მიიღეს სიმინდის ხარისხოვანი მოსავალი — ჰექტარზე 49 ცენტნერი.

**[illegible]**

# მადრიდის ფრონტზე

## მეამბოხეთა იერიშები მოგერიებულია

(„პრავდის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

**მადრიდი,** 25 ნოემბერი. (23 საათი მოსკოვის დროით). კიდევ ერთმა დღე-ღამემ განვლო მადრიდის დასაცავად წარმოებულ მძიმე, მაგრამ წარმატებით ბრძოლებში.

მტერმა ღამით და დილით ახალი იერიშები მოიტანა მადრიდის სამხრეთითა და დასავლეთით. პირველი იერიში მოგერიებულ იქნა ისე, რომ მას განსაკუთრებული შრომა არ დასჭირვებია. საპატიმრო კარსელ მოდელოსკენ მიმართული ახალი იერიში სწარმოებდა არტილერიის კონცენტრირებული ცეცხლისა და 9 ტანკის დახმარებით. ეს იერიში მთავრობის ნაწილებმა დიდი ხელოვნებითა და სიმამაცით მოიგერიეს, ამასთან გაანადგურეს ფაშისტთა ერთერთი საარტილერიო ქვემეხი კაზა დელ კამპოში, ამ ქვემეხის მომსახურე პერსონალი კი მოსპობილ იქნა.

ამ ბრძოლაში, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ინტერნაციონალური ბრიგადა, გმირულად დაიღუპა ორი გერმანელი ანტიფაშისტი: ვილი ველე-ტელმანის სახელობის კოლონის ლეიტენანტი და გუსტავ დერნა-იმავე კოლონის კომისარი.

16 საათზე მოსკოვის დროით კაზა დელ კამპოს თავზე გამოჩნდა ფაშისტთა და რესპუბლიკელთა ავიაცია. სახალხო მილიცია დიდი ქებით იხსენიებს როგორც ერთის, ისე მეორის მოქმედებას. ჯერ „იუნკერსებმა", რომლებსაც ცოტა ანგარიში შეეშალათ, ყუმბარები დააყარეს ფაშისტურ ნაწილებს. შემდეგ რესპუბლიკელთა ყუმბარმტყორცნებმა იგივე ოპერაცია განიმეორეს იმავე ნაწილებზე.

დღეს—ერთგვარად ღირსშესანიშნავი დღეა. დღესათვის, 25 ნოემბრისათვის, გენერალმა ფრანკომ თავის თანამზრახველებთან ლეგანესში თათბირის შემდეგ, მეექვსეჯერ დანიშნა მადრიდის აღება. დავუცადოთ გენერალ ფრანკოს ახალ ბრძანებებს.

**მიხ. კოლცოვი.**

## ესპანეთის გლეხები თავისუფლდებიან მიწის საიჯარო გადასახადებისაგან

**ვალენსია,** 25 ნოემბერი (საქდესი). გლეხების სარგებლობასთან დაკავშირებით, ესპანეთის მიწათმოქმედების მინისტრმა ვისენტე ურიბემ გასცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც კატეგორიულად აკრძალულია საიჯარო ქირის გადახდევინება იმ გლეხებისათვის, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ წინანდელ მიწათმფლობელთა წინაშე. მიწათმოქმედების მინისტრი აღნიშნავს, რომ, დეკრეტის თანახმად, ფაშისტ-მეამბოხეთა მიწები სახელმწიფოს საკუთრებად გადაიქცა და გლეხები, რომლებმაც წინათ ეს მიწები იჯარით აიღეს, განთავისუფლებული არიან საიჯარო გადასახადისაგან.

◇ ○ ◇

## გერმანია-იაპონიის შეთანხმება

**ბერლინი,** 25 ნოემბერი (საქდესი). დღეს ბერლინში ხელი მოაწერეს გერმანია-იაპონიის შეთანხმებას კომინტერნის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ შეთანხმების ტექსტი დღეს ერთდროულად გამოქვეყნდა ბერლინსა და ტოკიოში. შეთანხმების შესავალ ნაწილში ხაზგასმულია, რომ გერმანიის და იაპონიის მთავრობებს შეუძლებლად მიაჩნიათ მოთმინებით მოეპყრან „კომინტერნის ჩარევას სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში", და რომ ამიტომ ორივე მთავრობა შეთანხმდა თანამშრომლობაზე კომუნისტური საქმიანობისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. შეთანხმების პირველი მუხლი ითვალისწინებს, რომ გერმანიისა და იაპონიის მთავრობები ერთმანეთს აცნობებენ კომინტერნის საქმიანობას და ერთად გამოიმუშავებენ და გაატარებენ ღონისძიებებს ამ საქმიანობის წინააღმდეგ. მეორე მუხლი ითვალისწინებს, რომ გერმანიისა და იაპონიის მთავრობები წინადადებას მისცემენ მესამე სახელმწიფოებს, „რომლების საშინაო მშვიდობიანობას საფრთხე მოელის", გაატარონ ასეთივე ღონისძიებანი. გარდა ამისა ეს მუხლი ითვალისწინებს მესამე ქვეყნების შეერთებას ამ შეთანხმებასთან. მესამე მუხლი აწესებს, რომ შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხუთი წლის განმავლობაში.

შეთანხმების დადების ადგილად აღნიშნულია ბერლინი და იგი დათარიღებულია 25 ნოემბრით. გერმანიის მხრით შეთანხმებაზე ხელი მოწერილი აქვს რიბენტროპს, იაპონიის მხრით კი—იაპონიის ელჩს გერმანიაში მუსაკოჯის.

დამატებითი ოქმი, რომელიც დართული აქვს შეთანხმებას, ითვალისწინებს ორივე სახელმწიფოს სათანადო ხელისუფალთა მჭიდრო თანამშრომლობის განხორციელებას ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის დარგში და კონტაქტის დამყარებას იმ ღონისძიებათა გასატარებლად რომლებიც მიმართულია კომინტერნის წინააღმდეგ. ამ თანამშრომლობის განსახორციელებლად ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან არსდება მუდმივი კომისია, რომელიც დაამუშავებს და განიხილავს შემდგომ ღონისძიებებს კომინტერნთან საბრძოლველად. ბოლოს, ოქმში ნათქვამია, რომ ორივე სახელმწიფოს ხელისუფალნი არსებული კანონების ფარგლებში სასტიკ ზომებს მიიღებენ იმათ წინააღმდეგ, ვინც პირდაპირ და არაპირდაპირ, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ კომინტერნის სამსახურში ითვლება ან ხელს უწყობს მის დამანგრეველ მუშაობას.

## პრესის გამოძახილი იაპონია-გერმანიის შეთანხმებაზე

### ინგლისი

**ლონდონი,** 25 ნოემბერი (საქდესი). „ივნინგ სტანდარტის" დიპლომატიური მიმომხილველი გვაუწყებს, რომ ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, იაპონია-გერმანიის შეთანხმებასთან ერთად ხელმოწერილია საიდუმლო ოქმი. ოქმი ითვალისწინებს გერმანიის უარს გერმანიის ყოფილ კოლონიებზე წყნარ ოკეანეში, რომლებიც ამჟამად იაპონიის მფლობელობაში იმყოფება. ოქმი აწესებს აგრეთვე გერმანიისა და იაპონიის შორის გავლენისა და ეკონომიური ინტერესების განაწილებას ჰოლანდიის ინდოეთში. ბორნეო და ცელებესი, ამ ოქმის თანახმად, იაპონიის გავლენის სფეროში შედის, ხოლო სუმატრა და იავა-გერმანიის გავლენის სფეროში.

### ამერიკა

**ვაშინგტონი,** 25 ნოემბერი (საქდესი). გაზეთ „სტარის" საშუალებით კარგად გაცნობილი დიპლომატიური მიმომხილველის ფრედერიკ უილის სიტყვით, გერმანია-იაპონიის შეთანხმება აინტერესებს ამერიკელ დიპლომატებს, სამხედრო და საზღვაო ხელისუფალთ.

„ასეთი კომბინაცია, თუ იგი თავის ლოგიკურ ბოლომდე იქნა მიყვანილი,—აცხადებს უილი,—შეუძლია შეცვალოს მსოფლიოს სამხედრო-საზღვაო ძლიერება იმდაგვარად, რომ არსებითად შეეხოს ა. შ. შტატების მდგომარეობასა და ძალებს წყნარ ოკეანეში. ამჟამად ეს მდგომარეობა განისაზღვრება თითქმის მხოლოდ და მხოლოდ იაპონიის ფლოტის ოდენობითა და განლაგებით". იაპონია-გერმანიის შეთანხმება, აღნიშნავს დასასრულ უილი, რა თქმა უნდა, ცვლილებას ახდენს ა. შ. შტატების მთავრობის დამოკიდებულებაზე აგრეთვე წყნარ ოკეანეზე გამაგრების პრობლემისადმი.

სოხუმის ახალგაზრდა მძლეოსანი გოგი რექვზია, რომელმაც [illegible] შორის შეჯიბრებაზე დაამყარა ორი ახალი საქართველოს რეკორდი. მან ბადრო გადაისტყორცნა 34 მეტრზე და 43 სანტ. ბირთვის კვრაში მისი შედეგია 12 მეტრი და 73 სანტ.
(„სოიუზფოტოს" საქ. განყ.)
ფოტო ლინგისა

## მზადება მოსახლეობის აღწერისათვის

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფესიულ კავშირებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოსახლეობის საკავშირო აღწერის მზადებაში. პროფესიულმა კავშირებმა უნდა მოაწყონ ლექციები და საუბრები საწარმოებში და მუშათა კლუბებში აღწერის მიზნებსა და ამოცანებზე. ამასთანავე მათ ახსნა-განმარტებითი მუშაობა განსაკუთრებით ფართოდ უნდა გაშალონ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

მოსახლეობის ფართო ფენებმა უნდა იცოდნენ, თუ რატომ ხდება აღწერა, ვინ მოახდენს ამ აღწერას და როგორ უნდა დაეხმარონ აღმწერლებს.

პროფესიულ კავშირებს წინადადება აქვთ მიცემული აღწერისათვის გამოჰყონ ხელშემწყობი ბრიგადები ყველა საწარმოებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მიმოსვლის პუნქტებში.

◇

## ფეხბურთი

„დინამო" (ოსტატები)—„ბურევესტნიკი" 1:1.

24 ნოემბერს სტადიონზე შედგა ამხანაგური მატჩი „დინამოს" ოსტატთა გუნდსა და „ბურევესტნიკს" შორის. „დინამომ" გამოიყვანა რამდენიმე სათადარიგო მოთამაშე, ხოლო საქართველოს პროფკავშირების ჩემპიონი გამოვიდა არსებითად თავისი საბრძოლო შემადგენლობით. პირველ ტაიმში „დინამომ" გაიტანა ერთი ბურთი,—მეკარე კუხალეიშვილის შეცდომის შედეგად. „ბურევესტნიკმა" პენალტით გაათანაბრა ანგარიში. მეორე ტაიმში ტემპმა იმატა, მაგრამ „დინამოს" [illegible] ვერ გამოიყენეს მრავალი შანსი და თამაში ფრედ დამთავრდა.

„ბურევესტნიკი" ისევ ხალისიანად და კოლექტიურად თამაშობდა. თავდამსხმელთა შორის რამიშვილი ვერ შეეგუა გუნდის სწრაფ ტემპს და სტილს. სუსტი, მაგრამ მეტად იღბლიანი იყო მეკარე კუხალეიშვილი. გუნდის თვალსაჩინო შედეგი ცხადყოფს, რომ იგი სწორ გზაზე დგას. მონდომება და კოლექტიური სული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კარგი „ბოლისტი". „დინამო" ცოტა ზანტად თამაშობდა. საკმარისად კარგი იყო გუნდის უკანა ნაწილი, ხოლო სუსტი იყო თავდასხმა. ამ შეჯიბრებამ კვლავ დაამტკიცა, რომ ჩვენს „დინამოს"—ერთი ან ორი კაცის გარდა—შესაფერისი თადარიგი არ ჰყავს.

სჯიდა ორეხოვი.

**დ. ვ.**

### სასამართლო

## გამფლანგველთა გასამართლება

25 ნოემბერს საღამოს სხდომაზე მოწმეთა დაკითხვა გრძელდებოდა.

— კახიძის შემდეგ რეწვსაბჭოში ცოტა ხნით მეთაურად მე ვმუშაობდი. მაგრამ ისეთი არეულ-დარეული იყო ანგარიშები და დავთრები, საბუთები და ორდერები, რომ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებდი. არსად სჩანდა გაცემული ორდერების ყდები—ამბობს მოწმე [illegible].

მოწმე ასიტაშვილი — რეწვკავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა: როდესაც გავიგე რომ ძოწუაშვილს ბინის სასყიდლად სამი ათასი მანეთი მიეცა, მე პროტესტი განვაცხადე. ვუთხარი — როგორ შეიძლება საკავშირო რეწვსაბჭოს დასტურის გარეშე ფულის გაცემა.

— საკითხი უკვე შეთანხმებულია, პრეზიდიუმის სხდომის სათანადო ოქმის ასლი გადაგზავნეთო—მიპასუხეს.

როგორც წინა სხდომებზე გამოირკვა, ძოწუაშვილისათვის ხელმძღვანელების დასტურით რეწვსაბჭოს გაუცია სამი ათასი მანეთი—ბინის გამოსაცვლელად—ამაზე პრეზიდიუმის დადგენილებაც არის. მიუხედავად საკავშირო რეწვსაბჭოს დირექტივებისა, ეს საკითხი მასთან არავის შეუთანხმებია. თვითნებურად, შინაურულად [illegible] მდივნისათვის ეს თანხა შეუთავაზებიათ. იცოდნენ რეწვსაბჭოში რა, რომ პრეზიდიუმის ამ სხდომის ოქმის (სადაც ძოწუაშვილისათვის ფულის გაცემის საკითხი დამტკიცდა) საკავშირო რეწვსაბჭოს ც. კ-ში გაგზავნა ცოტა არ იყოს სახიფათო იყო, და ბოლოს საკავშირო რეწვსაბჭო შეიძლება არ დათანხმებოდა, იდგნენ და ის პუნქტი, რომელიც ძოწუაშვილისათვის ფულის გაცემას ეხებოდა, სრულიად ამოიღეს და შეუმოწმებელი ოქმი საკავშირო რეწვსაბჭოს ისე გადაუგზავნეს. ახლა, პროცესზე ამ ორ, ერთიდაიმავე თარიღის ოქმთა დაპირისპირებამ ყალბისმქნელობას ფარდა ახადა.

რეწვსაბჭოში უწესრიგობას, არეულობას მოწმენი: ნიკოლოზ ასათიანი, ალექსანდრე ქეიშვილი, ნიკოლოზ გოკიელი და სხვანიც ეხებიან, დასტურდება აგრეთვე რომ ცირკულარების და მიმოწერის შესრულებას უყურადღებოდ ეკიდებოდნენ, საფინანსო დისციპლინას არ იცავდნენ, [illegible] დახმარებებსა და პრემიებს ერთმანეთს სთავაზობდნენ, [illegible], არ აწარმოებდნენ შემოსავალ-გასავლის ორდერით დამტკიცებას, [illegible], და ეს ვითომ ბოროტად იყენებდნენ.

მოწმეთა დაკითხვის შემდეგ სასამართლომ და სახელმწიფო ბრალმდებელმა რესპუბლიკის პროკურორის [illegible] თანაშემწემ ამხ. [illegible] სხვადასხვა ფაქტების გასაშუქებლად ექსპერტიზას შეკითხვით მიმართეს.

მორიგი, 26 ნოემბრის დილის სხდომაზე ბრალდებულმა კახიძემ მოითხოვა საბუთების გადათვალიერება. სასამართლომ მისი თხოვნა დააკმაყოფილა. ექსპერტების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ბრალმდებლის თანდასწრებით კახიძე ტომრით მოტანილ საბუთების და ორდერების ქექვას შეუდგა.

**მერი ბურდული**

## ანტირელიგიური წარმოდგენები

საქ. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალურმა საბჭომ საქართველოს რაიონებში მიავლინა დასი ანტირელიგიური რეპერტუარით. დასმა შემოიარა ხაშურის, გორის, ტფილისის, კასპის, ყარაიას, ბორჩალოს, ლუქსემბურგის და ახალქალაქ-მანგლისის რაიონები, სადაც მოემსახურა 89 კოლმეურნეობას და გამართა 39 წარმოდგენა, რომლებსაც დაესწრო 50.000-მდე კაცი. ხშირად, კლუბის შენობის უქონლობის გამო, წარმოდგენები იმართებოდა ცის ქვეშ და საწყობებშიაც კი, მაგრამ ხალხი მრავლად ესწრებოდა. თვით რეპერტუარი ეხებოდა ცრუმორწმუნეობას, „ბატონებს", ნათლობას, რელიგიურ დღესასწაულებს, მკითხაობას და სხვ.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ დადებითად აღნიშნა დასის მუშაობა და საპატიო სიგელებით და მადლობით დააჯილდოვა დასის ხელმძღვანელი წერეთელი, მსახიობი ოქროპირიძე და სხვ.

◇

## ახალი ამბები

● ამ დღეებში მოსკოვის გამომცემლობა „ხელოვნება" რუსულად გამოსცემს ორდენოსან დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის პიესას „არსენა". თარგმანი ა. ყანჩელისა.

● ჩელუსკინელთა (ყოფილი ვაგზლის) ქუჩაზე დამთავრდა შუასადენი ზოლისა და ტროტუარების მოასფალტება.

● ლენინგრადში გაიხსნა პროპაგანდისტისა და აგიტატორის ორსართულიანი სახლი 7 კაბინეტით, დარბაზით, ბიბლიოთეკით და რადიოთეატრით. სახლს მიეკუთვნა ამხ. დიმიტროვის სახელი.

● მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კურორტმა წყალტუბომ მომსახურება გაუწია 18 ათასზე მეტ ავადმყოფს და დასვენებულს. ამჟამად კურორტი სრული დატვირთვით მუშაობს.

# ამხ. ვ. ღვალაძე

### აგრონომიულ მეცნიერებათა დოქტორი

სას.-სამ. ინსტიტუტში ამხ. ვარლამ ზაქარიას-ძე ღვალაძემ აგრონომიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად საჯაროდ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „კორელაცია ალკოჰოლური დუღილის პროდუქტთა შორის". ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული იყვნენ პროფესორები ნ. ნ. ივანოვი (ლენინგრადი), ქ. ბ. მოდებაძე, და პ. ი. ქომეთიანი. დისერტანტის ნაშრომში წამოყენებული დებულებები ოპონენტებმა მთლიანად მიიღეს. ამხ. ღვალაძეს მიენიჭა აგრონომიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

როგორც ღარიბი გლეხის შვილი, ამხ. ვ. ღვალაძე ოქტომბრის რევოლუციამდე დიდის გაჭირვებით აკვლევდა ცხოვრების გზას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა მას საშუალება მიეღო უმაღლესი განათლება და ფართოდ გაეშალა მეცნიერული მუშაობა.

ამხ. ღვალაძემ ჯერ კიდევ 1924 წელს მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება თავისი შრომით—„ადგილობრივი საფუვრის წმინდა კულტურის გამოყენების ცდა ჩვენს მეღვინეობაში". ამავე 1924 წელს იგი დაინიშნა სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ასისტენტად ენოქიმიისა და ღვინის მიკრობიოლოგიაში. 1929 წლის განმავლობაში ღვალაძე მუშაობდა საკ. მეცნ. აკადემიის ბოტანიკურ ლაბორატორიაში აკადემიკოს კოსტიჩევთან, უშუალოდ დუღილის პროცესთა ქიმიაში. აქ მან შეასრულა შრომა რძის მჟავე დუღილის ქიმიზმის გამოკვლევის მიზნით, რომელიც დაბეჭდილია გერმანულ და ფრანგულ ენებზე. 1930 წელს ამხ. ღვალაძე არჩეულ იქნა დოცენტად. 1933 წლიდან ამხ. ღვალაძე ხელმძღვანელობს ბიოქიმიის კურსს.

**ირ. ლაგვილავა.**

## მეღვინეობის ახალი მანქანები

საბჭოების მე-8 სრულიად საკავშირო ყრილობას თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა აღნიშნავს მეღვინეობის ახალი მანქანების ათვისებით. ამჟამად წარმოებაშია „ეგრაპონის" სისტემის ყურძნის გადასამუშავებელი 12 ცილინდრიანი მანქანა და ვოლტის მარკის ღვინის გადასასხმელი 10 ტუმბო. ქარხანა ამ მანქანების დამზადებას დეკემბრის დამლევს მოათავებს.

◇

## შემთხვევები

● **ავარია.** საბარგო ავტომანქანა № 55—10 (შოფერი ს. გ. ზაბარიძე) დიდი სისწრაფით სვლის დროს დაეჯახა [illegible] ქუჩაზე მდგარ მე-13 მარშრუტის ტრამვაის ვაგონს. დაჯახების შედეგად ძლიერ დაზიანდა ავტომანქანა და ტრამვაის ვაგონი. მანქანის კაბინაში მჯდომი მგზავრი გ. ფ. ბაგაძე (სამრეცხაოს ქ. 5) დაშავდა. შოფერი შეიპყრეს და პასუხისგებაში აძლევენ.

● **დაჭრა.** [illegible] ნიადაგზე ა. ი. ბოლოგინმა (ორჯონიკიძის ქ. 35) [illegible] დროს დანით მძიმედ დაჭრა მოქ. გ. რ. დრონდლესი (კვალის ქ. 16). ბოლოგინი შეიპყრეს.

● **ქურდების შეპყრობა.** საქ. მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის მილიციის განყოფილებამ შეიპყრო ქურდები ი. ს. ფილატოვი (იგივე სემიონოვი და დიმიტროვი), ნ. . როჩკოვი (იგივე ბორისი), ვ. მატიუშკინი და ფ. ტ. გოლუბი. ქურდებს აღმოაჩნდათ „ბრაუნინგის" სისტემის რევოლვერი, რომელიც, როგორც გამოირკვა, მოიპარეს მოქ. მარტინოვს (კურსანტების შესახვ. 3) ბინიდან. დამატებით ბოროტმოქმედებმა მტკვარში გადააგდეს „კოროვინის" სისტემის რევოლვერი. ყველა დაპატიმრებულს მიესაჯა პატიმრობა სხვადასხვა ვადით.

# **მოჩხუბრები.** სამთვრალეს ქუჩაზე ჩხუბისა და მოქალაქეთა შეურაცყოფისათვის დაპატიმრეს მ. ი. ჯანჯღავა, ი. ი. შერეზბლოვი და დ. ა. კაბლოვი. მოჩხუბრები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

| | |
|---|---|
| 27-XI | არსენა |
| 28-XI | ნაბიჭვარი |

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

| | |
|---|---|
| 27-XI წარმ. № 42 | ცხვრის წყარო |
| 28-XI წარმ. № 43 | ცხვრის წყარო |

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

| | |
|---|---|
| ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30 | ჩარლი ჩაპლინი ხმოვან სურათში **ახალი დროება** |
| დამკვრელი 6-45, 8-45, 10-45 | ახალი ხმოვ. ფილმი **გამარჯვებულთა თაობა** |
| კომკავშირელი 6-30, 8.9-30.11 | ხმოვანი კომედია **[illegible]** |
| რ. ლუქსემბურგის სახ. 6-45, 8-45, 10-45 | ფერადი ხმ. ფილმი **გრუნია კორნაკოვა** |
| 26 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30 | მხატვრული ფილმი **წითელი [illegible]** |
| ახალი ამბები | ესპანეთის ამბები მე-7 და მე-8 გამოშვება, ხმოვანი ჟურნალი № 50. |

სახცირკი
ტელ. 3-11-44
დღეს, 27 ნოემბერს
დიდი საცირკო წარმ.
3 განყოფილებად
პროგრამის მე-2 ციკლი.
მწვრთნელი-ხუმარა
მ. ზოლლო
თავისი ოთხფეხი არტისტებით.
ფეხ. არტისტთა და ახალ ატრაქციონების გამოსვლ.
დასაწყ. 8 ს. 30 წ.
სალარო 12-2 ს. და 5 ს-დან.
30/XI დღისით 2 წარმ. ზოლლოს მონაწ. დასაწ. 12 და 2 ს.

ქუთაისის არტელი „სტროიკოოპი"

იმყოფება საქ. სარეწაო კავშირის საბჭოთა სამმართველოს გამგებლობაში. რეგისტრირებულია ქუთაისის ფინგანში 1935 წ. 13 ოქტომბერს, № 81. საქმიანობის საგანი: სამშენებლო სამუშაოები. საანგარიშსწორებო ანგარიში № 105—70 46 ხსბანკის ქუთაისის განყოფილებაში. მისამართი: ქუთაისი, ბერიას ქ. № 27.

თავმჯდომარე ს. დანგაძე.
მთ. ბუღალტერი თ. ფუთკარაძე.
1009-104

საქ. სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი

ატარებს თბილისში მცხოვრებ რესპუბლიკანურ პერსონალურ და აკადემიურ პენსიონერთა აღრიცხვას ა-წ. 29 ნოემბრიდან.

აღნიშნული პენსიონერები ვალდებული არიან გამოცხადდნენ კომისარიატში—მახაძის ქ. № 2—ოთახი № 9, დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საპენსიო წიგნაკებით.

1. კიროვის რაიონი—29, 30 ნოემბერს და 1 დეკემბერს.
2. ორჯონიკიძის—2, 3, 4 დეკემბერს.
3. სტალინის—5, 6, 7 დეკემბერს.
4. ლენინის—8, 9, 10 დეკემბერს.
5. 26 კომისრის 11, 12, 13 დეკემბერს.

გამოუცხადებლობა გამოიწვევს პენსიის გაცემის შეჩერებას.

16582 სოც. უზრუნველყოფის სახკომისარიატი.

## სრულიად საქართველოს „სარეწაო კავშირის" სისტემის არტელ „მშრომელთა კვებას" დასკვნითი ბალანსი

აქტივი 1936 წ. 1 იანვრისათვის (მანეთებში) პასივი

| №№ რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა | №№ რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 148722 | 1 | ფონდები | 161082 |
| 2 | საწარმოო მარაგები | 24645 | 2 | მიზნობრივი რეზერვები | 6872 |
| 3 | ფულადი საშუალებანი | 29202 | 3 | მარეგულირებელი მუხლები | 1185 |
| 4 | საშუალებები ანგარიშსწორებებში | 57204 | 4 | გრძელვადიანი კრედიტები | 22218 |
| 5 | ხარჯები მომავალი დროისა | 3965 | 5 | ანგარიშსწორებანი | 46025 |
| 6 | განყენებული საშუალებანი | 88265 | 6 | დაგროვებანი | 110171 |
| | ბალანსი | 847008 | | ბალანსი | 847008 |

არტელის თავ-რე: გიგინავა. მთ. ბუღალტერი: ი. ჯღობავა.

დამტკიცებულია „სარეწაო კავშირის" საბალანსო კომისიის მიერ. 1620

ტფილისის სახელმწ. სამედიცინო ინსტიტუტი
აცხადებს კონკურსს
ქვემოთმოყვანილი კათედრებისა და კურსის ხელმძღვანელთა საშტატო თანამდებობაზე.

სამკურნალო ფაკულტეტის ხაზით:
1) კლინიკური ფარმაკოლოგიის კურსის.

პედიატრიული ფაკულტეტის ხაზით:
1) ფსიქიატრიის კურსის.
2) რენტგენოლოგიის კურსის.

სტომატოლოგიური ფაკულტეტის ხაზით:
1) სამკურნალო პროფილაქტიკური სტომატოლოგიის კათედრის.
2) საპროტეზო სტომატოლოგიის კათედრის.
3) ზოგადი ქირურგიის კათედრის.
4) ფიზიოლოგიის კურსის.
5) ჰისტოლოგიის კურსის.
6) ბიოლოგიური ქიმიის კურსის.
7) ფიზიკური ქიმიის კურსის.
8) ორგანული ქიმიის კურსის.

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნეს სამედიცინო ინსტიტუტის კანცელარიაში (ლუნაჩარსკის ქ., № 12) სათანადო საბუთების თანდართვით. განცხადებების შემოტანის უკანასკნელი ვადა ა-წ. 25 დეკემბერი.

704-2 სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია.

„სოიუზივხლოპკოსბიტის"
ბათუმის სავაჭრო ბაზა

იმყოფება „სოიუზივხლოპკოსბიტის" ა.-კ. კანტორის გამგებლობაში. რეგისტრირებულია ბათუმის ქალაქის ფინგანში 1936 წ. 16 აპრილს, № 54, საქმიანობის საგანი: ბამბეულის მრეწველობის საქონლის რეალიზაცია. საანგარიშსწორებო ანგარიში № 50—20 სახბანკის აჭარის განყოფილებაში. მისამართი: ბათუმი, მაუმანის ქ. № 18. ტელ. 6—11.

თავმჯდომარე პაულიკა.
მთ. ბუღალტ. ზილბერშტეინი.
1073

„სოიუზოპტბაკალეა"

იმყოფება მოსკოვის სტ/კან. „სოიუზბაკალეას" გამგებლობაში. რეგისტრირებულია ბათუმის აღმასკომის ფინგანში 1936 წ. 5 მაისს № 131. საქმიანობის საგანი: წვრილი საბაკალეო საქონლით საბითუმო ვაჭრობა, საანგარიშსწორებო ანგარიში № 60—102 ბათუმში, ხსბანკის აჭარის განყოფილებაში. მისამართი: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. № 8.

თავმჯდომარე გ. თავდიშვილი.
მთ. ბუღალტ. ს. ხარებავა.
1074

მისამართი: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 16 გამომცემლობის—რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებების: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო სამეურნეოსი 3—73—40. მშრომელთა წერილების 3—73—24, ღამის რედაქტორის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ბ. 8314